საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან. № 255 (534) ოთხშაბათი, 16 დეკემბერი, 1992 წელი ფასი 2 მანეთი

წუხელ შევიტყვეთ

პრესცენტრი უარყოფს

აფხაზეთში განლაგებული საქართველოს შეიარაღებული ძალების მთავარი შტაბის პრესცენტრი კატეგორიულად უარყოფს თავის მონაწილეობას რუსეთის ზოგიერთი მასობრივი ინფორმაციის საშუალებით გადაცემულ ფაქტებთან დაკავშირებით პრესცენტრის განცხადებაში, კერძოდ, ნათქვამია, რომ 14 დეკემბერს, 17 საათისათვის აფხაზეთში განლაგებული საქართველოს შეიარაღებული ძალების სარდლობას რუსეთის მხარემ აცნობა, რომ ტყვარჩელიდან ჩრდილო-დასავლეთით 25 კმ-ის დაშორებით ჩამოვარდა რუსეთის სამხედრო ვერტმფრენი „მი-8", მასში მყოფი მგზავრებითურთ და ითხოვა დახმარება მის მოძებნაში.

ოპერატიულად მიღებული ზომების შედეგად გაირკვა, რომ სამხედრო ვერტმფრენი ჩამოვარდნილი იყო მაღალმთიან სოფელ ლათის მიდამოებში.

აღნიშნულ ტერიტორიებს მთლიანად მოწინააღმდეგე მხარე აკონტროლებს და ქართული მხარისთვის ჯერჯერობით გაურკვეველია ვერტმფრენის ჩამოგდების მიზეზები.

საქართველოს შეიარაღებული ძალების სარდლობა სამძიმარს უცხადებს დაღუპულთა ოჯახებს და აღნიშნავს, რომ საქართველოს საჰაერო თავდაცვის ძალებს ვერტმფრენი არ ჩამოუგდიათ და არც შეეძლოთ ჩამოეგდოთ, რადგან ვერტმფრენის ჩამოგდების მიდამოებში ქართული საჯარისო ფორმირებანი არ იმყოფებიან.

აფხაზეთში განლაგებული საქართველოს შეიარაღებული ძალების სარდლობა არ გამორიცხავს იმ შესაძლებლობას, რომ აღნიშნული ტრაგიკული შემთხვევა იმ ძალების პროვოკაცია იყო, რომლებიც არ არიან დაინტერესებული აფხაზეთში მშვიდობისა და სტაბილიზაციის დამყარებით.

შეხვედრა გუდაუთაში

18 დეკემბერს გუდაუთაში ურთიერთშეთანხმებით გაიმართა მოლაპარაკება ქართულ და აფხაზურ მხარეებს შორის რუსეთის სამხედროების მონაწილეობით.

მოლაპარაკების მიზანი იყო აფხაზურ-ქართული კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარებისათვის ზრუნვა. შეიმუშავეს რამდენიმე წინადადება, რომლებიც უნდა განიხილონ საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ და აფხაზეთის მხარემ.

შეთანხმებას ხელი მოაწერეს: საქართველოს მხრიდან — საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრის მოადგილემ, ბრიგადის გენერალმა ავთანდილ ცქიტიშვილმა, ხოლო აფხაზური მხრიდან — აფხაზეთის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრმა სერგი შამბამ.

შეთანხმების ტექსტი, მოლაპარაკების თანახმად, პრესაში არ გამოქვეყნდება და საინფორმაციო საშუალებებით არ გადაიცემა.

მაგრამ რა უნდა დავუჯეროთ ზოგიერთ საინფორმაციო სამსახურს, კერძოდ პროგრამა „ვესტის", რომელმაც 18 დეკემბერს გადმოსცა ცნობა, თითქოს შეთანხმების თანახმად ქართულმა ჯარებმა უნდა გადაინაცვლონ მდინარე ენგურის გაღმა, რაც სწორი არ არის და მორიგი სიცრუეა. აშკარად ჩანს, რომ ზოგიერთ საინფორმაციო სამსახურს შეგნებულად სურს შეცდომაში შეიყვანოს საზოგადოებრიობა.

იოსებ გობეჩია.

ამ დღეებში

გვატყობინებენ „საქართველოს რესპუბლიკის" და საქინფორმის კორესპონდენტები

ფაქტი მოვლენა კომენტარი

ე. შევარდნაძე: არცერთი ნაბიჯი არ უნდა გადაიდგას ჩვენი ეროვნული ინტერესების საწინააღმდეგოდ

პარლამენტის 15 დეკემბრის სხდომაზე დაისვა საკითხი მოსმინათ სახელმწიფოს მეთაურის ინფორმაცია იმის თაობაზე, თუ რამდენად სწორია ის ცნობა, რომელიც წინა დღით გაავრცელეს რუსეთის რადიოტელეკომპანიამ და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებმა. ლაპარაკია იმაზე, თითქოს ხელმოწერილი იყოს ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც აფხაზეთიდან უნდა გავიდნენ ქართული საჯარისო შენაერთები.

გთავაზობთ ბატონ ედუარდ შევარდნაძის გამოსვლას ამ საკითხთან დაკავშირებით.

დღეს ომია საქართველოში და ამის შეხსენება, ალბათ, არარავის სჭირდება. ვფიქრობ, საინფორმაციო საშუალებები და ტელევიზია გვაძლევს ინფორმაციას, რომელიც ასე, თუ ისე, რეალურად ასახავს სინამდვილეს. ვიცი, ბევრი კითხვა დაიბადა იმის გამო, რომ გუშინ რუსეთისა და ჩვენმა ტელევიზიამაც გადასცა ცნობა იმის შესახებ, რომ თითქოს მიღწეულია შეთანხმება ქართველთა და აფხაზურ მხარეთა შორის, შეხვედრის დროს. თუმცა, ამ დილით, მე მგონი, წუხელაც, იყო თავდაცვის სამინისტროს რეაგირება, განმარტება — რა იყო სწორი და რა არა. სანამ პრაქტიკულ საკითხებზე გადავიდოდი, ერთ პრინციპულ საკითხზე შევჩერდები.

დღეს, როდესაც უმძიმესი მდგომარეობა შექმნილი, როდესაც ყოველდღე მატულობს მსხვერპლი, ვფიქრობ, დეპუტატებმა ეჭვის ქვეშ არ უნდა დააყენონ მოლაპარაკების პროცესის გაგრძელების საკითხი, მისი შეწყვეტა არ შეიძლება, რადგან მრავალმხრივ აუცილებელი და საჭიროა. მოლაპარაკებები აუცილებელია, თუნდაც იმიტომ, რომ არიან ტყვეები, არიან ბრძოლაში დაღუპულები. კიდევ მრავალი საკითხია დღის წესრიგში, რომლებზეც მხოლოდ მოლაპარაკების შედეგად თუ მივაღწევთ შეთანხმებას. ასეთი შეხვედრები აუცილებელია. აფხაზეთი მაინც ერთიანი ორგანიზმია და შიმშილის თავიდან ასაცილებლად, სხვა საკითხების მოსაგვარებლად, შეთანხმებაა საჭირო. ყოველთვის არა, მაგრამ რაღაცის მოგვარება მაინც ხერხდება ხოლმე. ამ ბოლო დღეებში, არა ჩვენი ინიციატივით, აქტიურად დაისვა დღის წესრიგში საკითხი მოლაპარაკების შესახებ: რა პირობებში შეიძლება შეწყდეს ცეცხლი და ა. შ. თავდაცვის საბჭომ იმსჯელა და მიიღო გადაწყვეტილება შეხვედრის შესახებ, რომელიც შედგა გუდაუთაში. მასში სამხედროებთან ერთად მონაწილეობდნენ ირაკლი ბათიაშვილი და ავთანდილ იოსელიანი. მიღწეული შეთანხმებით, ცეცხლი 8 დღით შეწყდა. შემდეგ, მეორედ დაისვა საკითხი. ამ შემთხვევაში, ინიციატივით გამოვიდნენ ყოფილი ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის, ამჟამად, რუსეთის სამხედრო ფორმირების ხელმძღვანელები, აფხაზთა მხარე კვლავ აყენებს საკითხს მხარეთა შეხვედრის შესახებ, მაგრამ რადგან პირველმა შეთანხმებამ მხოლოდ სამდღიანი შესვენების საშუალება მოგვცა, ამჯერად, ვიფიქრეთ, რომ მომავალი შეხვედრა მხოლოდ სამხედროების დონეზე მოეწყო.

ასეთი შეხვედრები აქამდეც გვქონდა პრაქტიკაში, რაც გარკვეული მიღწევებით მთავრდებოდა. კონფლიქტის პირველი დღეებიდანვე შეხვედრები ჰქონდათ გია ყარყარაშვილს და სხვებს. ასეთი შეხვედრა შედგა, მასში მონაწილეობდა ავთანდილ ცქიტიშვილი და ორი წარმომადგენელი საექსპერტო ჯგუფიდან. აფხაზურმა მხარემ წამოაყენა თავისი მოთხოვნები, რომელთაც თვლის საბაზისოდ, და მიაჩნია, რომ მათ საფუძველზე, შეიძლება კომპრომისის მიღწევა. ქართულმა მხარემ უარყო ეს, რადგან ცენტრალურ საკითხად მოთხოვნაში ქართული ჯარის გამოყვანა დევს. ეს საკითხი ჯერ კიდევ მოსკოვის შეხვედრაზე დააყენეს. სამაგიეროდ, ამბობენ, რომ უცხოელ ჯარისკაცებს გაიყვანენ აფხაზეთიდან და, მათ რუსეთის ჯარები შეცვლიან. ეს, რა თქმა უნდა, უარყოფილ იქნა და შეთანხმება მხოლოდ ცეცხლის შეწყვეტით, ისიც რამდენიმე დღით, შემოიფარგლა. გუშინ 5-6 საათის განმავლობაში, თავდაცვის საბჭომ იმუშავა, მოისმინა ინფორმაცია, დავეთანხმეთ, წინადადებას ცეცხლის შეწყვეტის შესახებ, მაგრამ ძირითად საკითხებში ჩვენი პოზიცია არ შეცვლილა.

ჩვენ მიგვაჩნდა და დღესაც მიგვაჩნია, რომ ქართული ჯარის იქ ყოფნის საკითხი ყველაზე პრინციპულია და პოზიციის შეცვლა გამორიცხულია.

ამიტომ, ამ მოლაპარაკებისათვის ჩვენ განსაკუთრებული მნიშვნელობა არ მიგვინიჭებია, რუსეთის საინფორმაციო საშუალებებისაგან განსხვავებით, ეს ერთი, რიგითი მოლაპარაკება იყო. მიმაჩნია, რომ შეხვედრები მომავალშიც უნდა გაგრძელდეს, უნდა ვიფიქროთ, ხვალინდელ დღეზეც.

შეიძლებოდა ასეთი კურსის აღებაც: არავითარი მოლაპარაკება-შეხვედრები. ომი ომია და ვიომოთ ბოლომდე. მე ვფიქრობ, რომ საღი აზრის პრინციპებიდან გამომდინარე, საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით, ეს საკითხი ერთ-ერთი ცენტრალურია. შეხვედრაზე, რომელზეც ევროგაერთიანების თითქმის ყველა ქვეყანაა წარმოდგენილი, კონფლიქტის საკითხი უახლოეს ხანებში კვლავ დაისმება უშიშროების საბჭოში, განიხილავენ ჩვენთან სპეციალურად ჩამოსული დელეგაციის მუშაობის შედეგებს. ასეთ ვითარებაში, დაუშვებელია, რომ საქართველომ უარი თქვას მოლაპარაკების პროცესზე. თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ ეროვნული ინტერესების საწინააღმდეგო ნაბიჯი გადაიდგას.

მდგომარეობა გარკვეულად გაართულა ცნობამ იმის შესახებ, რომ ჩამოაგდეს ვერტმფრენი. წინასწარი მონაცემებით, საქართველოს საჯარისო ფორმირებებს ამ საქმესთან საერთო არაფერი აქვთ. ეს იმ ზონაშია, სადაც საქართველოს პოზიციები არ არის. თან, ჩვენი ტექნიკური საშუალებებით ასეთ მანძილზე ჩვენი მხარე ვერ დააზიანებდა ვერტმფრენს.

თუმცა, ეს რომ მომხდარიყო, ვთქვათ, ჩამოგვეგდო, დანაშაული არ იქნებოდა, რადგან მიღწეული შეთანხმებით, ტყვარჩელის მოსახლეობისათვის ჰუმანური ტვირთით სავსე ვერტმფრენები ჯერ სოხუმში უნდა დაშვებულიყვნენ, სადაც შეამოწმებდნენ ტვირთს. რადგან, ამ შემთხვევაში აფხაზურმა მხარემ დაარღვია შეთანხმება, ჩვენ გვქონდა იმის უფლება, რომ გამოგვეყენებინა ძალა.

რუსეთის ინფორმაციის საშუალებებმა რამდენჯერმე შეცვალეს ამ ინფორმაციის გადმოცემის ფორმა, ნელ-ნელა არბილებდნენ. უნდა გითხრათ, ისიც, რომ ვერტმფრენს აცილებდა სუ-25 მარკის რუსეთის თვითმფრინავი. ესეც კანონის დარღვევაა. რუსეთის მხარე უცერემონიოდ არღვევს საქართველოს ხელისუფლების მიერ დადგენილ საჰაერო კოდექსს. ამ თვითმფრინავების თარეში ჩვენი ქალაქების თავზე, ბარბაროსული აქციაა, ქართული მხარის წინააღმდეგ. ეს განსაკუთრებით ითქმის ოჩამჩირის დაბომბვაზე, სადაც პრაქტიკულად არ იყო საომარი ოპერაციები. ამ აქციას მშვიდობიანი მოსახლეობა შეეწირა, 11 კაცი.

ვიმეორებ, ჰუმანური დახმარება ტყვარჩელში მხოლოდ სოხუმის გავლით უნდა გაიგზავნოს.

ახლა ერთი უსიამოვნო პროცესის შესახებ. ის ნაწილები, რომლებიც გადაიღალნენ, (მეომრებს ჯანმრთელობა შერყეთ), გამოდიან კონფლიქტის ზონიდან. მათ ადგილს სხვები იკავებენ. ეს პროცესი კონფლიქტის დამთავრებამდე არ უნდა შეწყდეს. ერთ-ერთი სამხედრო მონაპოვარი ის იყო, რომ სოხუმ-თბილისს შორის, სარკინიგზო მიმოსვლა გაიხსნა, რამაც გაგვიადვილა მუშაობა. ახლა ხიდი ისევ ააფეთქეს. ადრე თავს ვიკავებდი მსგავსი გამოთქმებისაგან, ახლა კი ვაცხადებ — საქმე გვაქვს საქართველოს მტრებთან. ეს იმ რეგიონის მოსახლეობის ნამოქმედარი არ არის, ეს გამორიცხულია. ისინი ბანდიტები არ არიან. ეს არის ერთი ჯგუფი — საქართველოს მტრები. ისინი ადგილზევე უნდა განადგურდნენ, ყოველგვარი ულტიმატუმის გარეშე. ამ აფეთქებამ კვლავ შეგვიქმნა სირთულეები ჯარის მომარაგების საკითხში.

ახლა ემოციებთან დაკავშირებით.

იქნებ, პარლამენტმა ყოველდღე იმუშაოს და ჩვენი ურთიერთობა, — თავდაცვის საბჭო და მთავარსარდალი მყავს მხედველობაში, სხვა პრინციპებზე უნდა იყოს აგებული. თავდაცვის საბჭოს მიმართ, არავითარი ეჭვის საბაბი არ არსებობს. პარლამენტის სამხედრო კომისიის თავმჯდომარე ნოდარ ნათაძე ჩვენ შევიყვანეთ თავდაცვის საბჭოში. ეს უპრეცედენტო შემთხვევაა. ეს იმისათვის გავაკეთეთ, რომ იქ ყოფილიყო ადამიანი, რომელიც პარლამენტართა იმ ნაწილის განწყობილებას გადმოგვცემდა, რომელსაც ამა თუ იმ გადაწყვეტილების მიმართ შენიშვნა გაუჩნდება. ასეთი საშუალება არსებობს ჩვენთან.

თავდაცვის საბჭომ უფრო აქტიურად შეიძლება იმუშაოს აფხაზური საკითხების კომისიასთან. გული მწყდება, რომ ბატონ ივლიანე ხაინდრავას მხარი არ დაუჭირეთ. მართალია, მე და მას განსხვავებული აზრები და პოზიციები გვაქვს, მაგრამ მას პატივს ვცემ, როგორც ისეთ პიროვნებას, რომელსაც შეუძლია დაიცვას საკუთარი მოსაზრება, რთულ სიტუაციაშიც. ვფიქრობ, თუ ის კომისიის ხელმძღვანელი იქნებოდა, თავდაცვის საბჭოსთან ურთიერთობაც უფრო სხვაგვარი იქნებოდა. თავდაცვის საბჭოს არ შეუძლია, ყველაფერზე დაუფარავად ილაპარაკოს პარლამენტში, რადგან სხდომები პირდაპირ გადაიცემა. უფრო მწვავე საკითხების განხილვისას, დახურული სხდომები უნდა ჩატარდეს. ეს იმას არ ნიშნავს, რომ მოსახლეობას არ ვენდობით. უნდა გავითვალისწინოთ, რომ ჩვენს ნათქვამს კეთილმოსურნეებთან ერთად მოწინააღმდეგენიც ისმენენ.

გუშინ თავდაცვის საბჭომ რამდენიმე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მიიღო. მათ შორისაა, ერთიანი ჯარების შექმნა და ამასთან დაკავშირებულ პრობლემათა მთელი კომპლექსი. ჩვენ ყოველდღე თუ არა, დღეგამოშვებით მაინც ვიკრიბებით. და თუ ყველაფერი ისე არ კეთდება, როგორც სასურველია, ამას ობიექტური მიზეზები გააჩნია. საჭიროა, რესურსები, მათ ძებნას სჭირდება დრო, რომელიც არ გაგვაჩნია. კმაყოფილი ვიქნები, თუ აფხაზეთის კომისიის საკითხს დროულად და ისე გადავწყვეტდით, როგორც იყო შემოთავაზებული.

კიდევ ერთი, ძალზე რთული საკითხია გადასაწყვეტი — რუსეთ-საქართველოს მოლაპარაკების საკითხი.

რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის განცხადებამ, რომელიც მან გუშინ გააკეთა, ჰელსინკში, ძალზე გაურკვეველ მდგომარეობაში ჩამაყენა. ბატონმა ჩიკვაიძემ დარეკა და თქვა, რომ საშინელება ხდება, რომ ფაქტობრივად, „ბუნტია" არა მარტო ყოფილ საბჭოთა კავშირის რესპუბლიკების, არამედ ევროპული ქვეყნების წარმომადგენლებში, თუმცა, გუშინ საღამოსვე გაკეთდა მეორე განცხადებაც.

მეორე. რუსეთის პარლამენტმა გამოაქვეყნა უცნაური განცხადება, იმის შესახებ, რომ იგი მოუწოდებს ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებს, განიხილონ საკითხი კონფედერაციაში შესვლის შესახებ, ფედერაციაში შესვლის შესახებ. ესეც გაუგებარია. ამიტომ, ნება მომეცით, ხვალამდე ვიფიქრო, ჩაიშალოს თუ არა რუსეთ-საქართველოს მოლაპარაკება, ან შეიძლება შეჩერდეს მანამ, სანამ გავერკვევით, რას ნიშნავს კოზირევის ურთიერთგამომთიშველი განცხადებები, ან რუსეთის პარლამენტის პოზიცია. ამიტომ, ნება მომეცით, ვიფიქრო, თუ რა განცხადება უნდა გააკეთოს ამ საკითხებთან დაკავშირებით საქართველოს პარლამენტმა.

საქართველოს პარლამენტის 15 დეკემბრის სხდომის ანგარიშს ხვალ გამოვაქვეყნებთ.

ანომალია?

თავის გამოჩენის ხანა დგას საქართველოში, ტელეეკრანზე თავის გამოჩენისა. ზოგიერთმა ტელეკომუნიკაბელურმა პარლამენტარმა რომ იცოდეს, თუ როგორ აფასებენ მის ამ ახირებულობას ამომრჩევლები, სხდომების ტრანსლაციის დაუყოვნებლივ შეწყვეტას მოითხოვდა.

მარტო პიროვნული ახირება რომ იყოს, გავიცინებდით და დაგვავიწყდებოდა, როგორც ყოფილი უზენაესი საბჭოს მიკროფონის ტრფიალი დეპუტატები და ნათქვამი მათი.

დრო იკარგება, ეგაა ცუდი და, ეგებ, გამოუსწორებელი. სპიკერის შეშფოთებული, მაგრამ უკვე ინერციული შეგონება — მივცეთ პარლამენტს თავისი სახე, დილის აუცილებელ რიტუალადღა რჩება, სამწუხაროდ.

მოკლედ მაინც ილაპარაკონ!

ჩვენი ნება რომ იყოს, ამ ფოტოსურათს (დღეს რომ ვაქვეყნებთ) გამოვფენდით სხდომათა დარბაზის შესასვლელში თავისი წარწერით: „კამათში დაკარგული ყოველი დღე საფლავებს ამრავლებს" — ასეთ ილუსტრირებულ იუგოსლავიის ტრაგედიის გაჭიანურებისადმი მიძღვნილი მასალა ერთ-ერთ ჟურნალში.

ან არ გამოვფენდით: პარლამენტის წევრებს შორის, სამწუხაროდ, უკვე არიან შვილებდაღუპული მშობლები, მათი აქ ყოფნა ვითომ საჭიროებს დამატებით თვალსაჩინოებას თემაზე — ომია საქართველოში?! ომი, რომელსაც საკუთარი კანონები და მუშაობის თავისი რეჟიმი აქვს.

განგებ ხომ არ არიდებენ მათ თვალს?

ჩვენ შევხვდით, ვესაუბრეთ და (გვაპატიეთ ემოციურობა) მეხდაცემულები დავრჩით.

„თავისი ჭირი ყველას გამოუჩნდებაო", — უთქვამს ხალხს, — ესე იგი, უმტერო კაცი არ არსებობსო. მაგრამ ასეთი?

„სიკვდილო, შვილი მოგცა და იმის სიკვდილს მოგასწრობო",— ასე დაუწყევლია სიკვდილი ადამიანს, რადგან ამაზე უმეტესი უბედურება არ არსებობს.

თურმე არსებობს... არსებობს თურმე, როდესაც ამ ტრაგედიას ნიშნისმოგებად, საკუთარ გამარჯვებად და სიხარულად აღიქვამენ (ადამიანები ვითა ვთქვათ?) ჰომოზვიადისტების ჩასაფრებული აქტივისტები.

ბატონ ჭაბუა ამირეჯიბის ვაჟს, ძმამკვდარ ბიჭს სისტემატურად და დაჟინებით ურეკავენ გველაძეები და შხამს აწვეთებენ: — შენ კიდევ ცოცხალი ხარო?!

— საუბედუროდ, ასეა, — გვიდასტურებს ბატონი ჭაბუა, რომელსაც დიდი ყოყმანის შემდეგ მაინც გავბედეთ და ვკითხეთ პარლამენტის კულუარებში ყურმოკრული ამბავი, — ურეკავენ, შენს ძმას როდის უნდა მიჰყვე ზედო. სიკვდილი, სიკვდილი თქვენ ყველას! შემოგვიკივლებენ და დაგვიკიდებენ ყურმილს.

ასეთი გონებადაბნელება საკუთარი კერპის სიყვარულით?

ავადმყოფობა? ვერ წარმომიდგენია, რომ ნორმალურმა ადამიანმა თუნდაც დავით აღმაშენებლის, თამარის, ვახტანგ გორგასლის, ფარნაოზის სიყვარულით ვისიმე შვილის სიკვდილი ისურვოს! ნორმალური ფსიქიკის ადამიანზე ვამბობ, თორემ იმ ქალებს სერიოზული მკურნალობა სჭირდება.

სიყვარულით კი არა, სიძულვილით მოსდით, სიძულვილით, რომლის ძლიერების საწყაო კაცობრიობას ჯერ არ მოუგონია, რადგან არც გადაჰყრია ასეთს არაფერს.

აღუვსებელია ბოროტების საწყაული: მშობლებს გლოვის უფლებასაც კი აღარ უტოვებენ.

— რა მიზანი აქვთ, რას ესწრაფვიან? კარგი, გული მომიკლან, მერე?... არც ერთისათვის არასოდეს არაფერი მიპასუხია, არც ვაპირებ სხვაგვარად მოვიქცე. ვიცი, იმ საეჭვო წარსულისა და აწმყოს მქონე დედაკაცების ვინაობა.

მეც და ჩემმა შვილმაც ჩვენი მოვალეობა სამშობლოს წინაშე ვიცით და, როგორც შეგვიძლია, ვასრულებთ. ჩვენთვის მთავარი ეს არის.

მოვალეობაა მისთვის ისიც, მგლოვიარე მამა მამულიშვილობის თავის წილს ისევ თვითონ რომ ეზიდება. ამ მოვალეობის შეგნებამ გაამაგრა ჭირსა შიგან. ამ დღესაც ახალი მოვალეობა დააკისრეს — სახელმწიფოს მეთაურის განკარგულებით მწერალი ჭაბუა ამირეჯიბი ეროვნული ჯარის ფონდის ხელმძღვანელად დაინიშნა.

— ერთხელ, ადრეც, ვთქვი და კვლავ ვიმეორებ: საქართველოს ჩვენი ქვეყანა, ჩვენი მიწა-წყალი ჩვენგან მოითხოვს ოფლს, ნიჭს და სისხლს. ყველაფერი უკლებლივ უნდა მივცეთ მას, რაგინდ მძიმეც უნდა იყოს, უნდა შევწიროთ თუნდაც შვილის სახით. რა ვქნა, თუ ყველას არ ესმის ეს?

მსხვერპლის გაღება, არასოდეს ყოფილა იოლი, მით უფრო, ახლა. ამისთვის წყევლიან. ცხოვრება კია ალოგიკური, მაგრამ — ამდენად?

— აი, დღეს სამხედრო სასამართლოების შესახებ კანონის მიღების საკითხს განიხილავდა პარლამენტი. ზოგიერთი წინააღმდეგია ამ კანონის მიღებისა. განა შეიძლება ინდობდე სამშობლოს მოღალატეს, ნაძირალას? თანაც ომის დროს? „მეხუთე კოლონის" გაჩენის ნიშნები ხომ არ გამოჩნდა ჩვენს შორის? (მკაცრია ბატონი ჭაბუა, ეს ემოციები მან შუა კამათის დროს გამოთქვა, მაგრამ მერე ემოციები დაცხრა და კანონი შესწორებებით მიიღეს).

ჩვენი დაკნინებული ზნეობა ადამიანურ ურთიერთობებში წარმოჩნდება. შვილმკვდარ დედას რომ მისწერს ვინმე, ვინც ქართული წერა-კითხვა იცის: „ძაღლი იყოს შენით მკვდრისადა", თანაც შეცდომებით მისწერს, რას იტყვით, ბატონებო, შეიძლება კი ამ დროს ზნეობაზე ლაპარაკი საერთოდ?

ქალბატონ მანანა გოგინეიშვილს ვაჟი დაეღუპა, თითით საჩვენებელი, გამორჩეული ბიჭი, ისეთი, რომლისთანებიც მხოლოდ მშობლებს არ უკვდებიან, მხოლოდ ოჯახს არ აკლდებიან.

ჯერ კიდევ როდესაც დედამ არც იცის, რომ შვილი აღარა ჰყავს, როდესაც ატყუებენ, რეანიმაციაშია და ყველა იმედი გადაწურული არ არისო, ნიშნისმოგებით ურეკავენ, ახლა ხომ მაინც მოისვენებო... — ამბობს ქალბატონი მანანა:

— იმათ გასაგონად უნდა ვთქვა, რომ აწი კიდევ უფრო ვერ მოვისვენებ.

ეს ხდება იმ ქვეყანაში, რომლის წიაღში „ვეფხისა და მოყმის" ბალადა იშვა.

შემძრწუნებელი ტრაგედია დამატყდა თავს. მაგრამ ახლა მარტო შვილის დაკარგვა არ მტკივა, არც შეურაცხყოფის გრძნობა მაწუხებს. საშინლად მტკივა ის, რაც ჩვენს ერს სჭირს დღეს — საოცარი ზნედაცემულობა. რაღაც უნიჭო ლექსებს ვიღებ, რომლებშიც მკილავენ იმის გამო, რომ პარლამენტში „დასკუპდი", რომ თალხი არ ჩაიცვი.

შეიძლება ქალი თალხით არ შეიმოსოს, ვთქვათ, ქმრის სიკვდილის გამო და ხალხს ეგონოს, ქმარი არ ჰყვარებიაო, მაგრამ შვილი?

იქნებ ვიღაც სხვის გასაკიცხად ენის მოტრიალებით, ხანდახან მაინც დავფიქრდეთ, რომ გარეგანი ფორმის მიღმა არსებობს უფრო დიდი და მნიშვნელოვანი.

იქნებ მაშინ ჩემს აქ „დასკუპებაში" დაინახავთ სხვა აზრი და სხვა მიზანი.

წელიწად-ნახევრის წინანდელი ჩვენი სატელეფონო საუბარი მაგონდება. მკითხველის წინაშე გამოსვლა შევთავაზეთ—ინტერვიუ-საუბარი ან საავტორო მასალა. მთავარი იყო ადამიანებამდე ორიოდე გონივრული სიტყვა მიგვეტანა.

ტაქტიანი უარი მითხრა. არანაირმა საბუთმა არ გაჭრა: — რომ მწამდეს, რომ ჩემი გამოსვლა ოდნავ მაინც შეცვლის რამეს სასიკეთოდ, კი, ბატონო, მაგრამ ხომ ვიცი, რომ ყოველი დახარჯული სიტყვა დღეს ამაოა. აბა, რა აზრი იქნება ჩვენს თავის გამოდებასო?

ჩემი გვარის გაზეთის ფურცლებზე გამოჩენა? ჯობს გადავდოთ პუბლიკაცია! ასე მიპასუხა მაშინ.

ახლა იმიტომ გავიხსენეთ ეს თითქმის მივიწყებული საუბარი, რომ მის ოპონენტებს ვუთხრათ: ცნობილი ენათმეცნიერის, ბატონ ივანე გიგინეიშვილის ქალიშვილს სადმე „წამოსკუპებისთვის" და, საერთოდ, იაფფასიანი ეფექტებით თავის გამოჩენისთვის არასოდეს მოუცლია. მისთვის მთავარი გარეგნული ფორმა კი არ არის, არამედ ის საქმე, რომელსაც აკეთებს სამშობლოსა და სხვათა შვილების გადასარჩენად.

მაგრამ ამ ექსკურსით მისი აზრი გავწყვიტეთ.

— იქნებ დღევანდელ საქართველოში, სადაც ამდენი დაუბედურებული, შვილმკვდარი დედაა, იქნებ ჩემგან ეს მხნეობის მაგალითად გამოდგეს. ღმერთმა დამიფაროს, ვიფიქრო, რომ ვინმე, მანანა გიგინეიშვილი იქნება ის, თუ ჭაბუა ამირეჯიბი, იტალონად გამოდგება. არა. იქნებ ცოტა სხვა თვალი იყოს საჭირო ამის დასანახად.

გამანადგურებელია ყოველივე, რასაც დღეს ვხედავ, მაგრამ ეს არ არის მარტოოდენ პირადი ტკივილი. ამით ჩემს დარდს არაფერი ემატება. მე ის სენი მტკივა, ასე ფართოდ რომ მოსდებია ჩვენს ერს.

შემომთავაზეს და ვაპირებ ტელევიზიით წავიკითხო ლექციების ციკლი ძველ ქართულ ლიტერატურაზე. ოღონდ ეს წმინდა ლიტერატურული საუბრები კი არ იქნება, არამედ ყურადღება გამახვილდება უფრო იმაზე, თუ რის დანახვის საშუალებას გვაძლევს ჩვენი ძველი მწერლობა — რა თვალსაზრისი ჭარბობდა, რა მსოფლმხედველობა გვქონდა, რა გვასულდგმულებდა. როგორი იყო ჩვენი სულიერი აღნაგობა. ეს საუბრები უფრო მათ გასაგონად იქნება, ვისაც სიხარულს ჰგვრის ასეთი ბიჭების დაკარგვა. უდიდესი სურვილი მაქვს მათ ვუშველო რამე, ძალიან მეცოდებიან, მათი მდგომარეობა მტკივა.

იშველება კი ასეთ ადამიანს? ამ კითხვას ჯერ საკუთარ თავს ვუსვამთ, მერე — ქალბატონ მანანას.

— ჩვენ უნდა ვეცადოთ. შველით ალბათ ყველაფერს ეშველება. ავაზაკი, მაცხოვრის ხელმარჯვნით ჯვარს რომ აცვეს, ცირველი შევიდა სასუფეველში, ყველა წმინდანზე ადრე. ამგვარი გარდასახვა ხდება, მჯერა. დღეს ჩვენში სატანა თარეშობს. ტყუილად ვიმეორებთ ყოველ წუთს „ღმერთი არს ჩვენთან!" ღმერთი არ არის ჩვენთან. ჩვენ ბნელი ძალების ხელში აღმოვჩნდით, მაგრამ იმ ნათელმა, რომელიც მუდამ გვიძღოდა წინ წარსულში, ისევ უნდა გამონათოს და თითოეულმა ჩვენგანმა, რითაც შევძლებთ, ხელი უნდა შევუწყოთ ამას.

მივუტევებ, ამბობს ქალბატონი მანანა. „წავიდე, მეც იქ მივიდე სამძიმარ ვუთხრა შვილისა"-ს სიმაღლეზეა მისი მიტევება.

გაუგებენ?

არ ვიცით. არ ვიცით...

პარლამენტის გუშინდელ სხდომაზე ისევ ითქვა მწარედ, ინგირის ხიდი კვლავ ააფეთქესო.

„საქართველოს რესპუბლიკის" საპარლამენტო პრესჯგუფი.

ნომერში

⊙ მგზავრებს ძარცვავენ ინგირშიც და ჩეჩნეთშიც. — 2
⊙ „ძვირფასო და დიდად პატივცემულო ამხანაგო ლავრენტი!" — 3

ვისთვისაც ძვირფასია სამშობლოს მომავალი

თავდაცვის ფონდს შეეწივნენ

⊙ **საქართველოს** სპორტისა და ტურიზმის ყოფილი სამინისტროს თანამშრომლების ხელფასის პირადი დანაზოგიდან შეგროვილია და საქართველოს თავდაცვის ფონდში შეტანილია 65420 მანეთი.

⊙ **რესპუბლიკის** ქალთა საბჭომ ფონდში ჩარიცხა 10.000 მანეთი.

⊙ **საქართველოს** რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროსთან არსებულმა ეროვნულ ფასეულობათა სახელმწიფო ფონდის თანამშრომლებმა ხელფასიდან ეროვნული თავდაცვის ფონდში გადარიცხეს 15.100 მანეთი.

⊙ **შინაგან** საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარების მთავარი სამმართველო მადლობას უხდის ორგანიზაციებს, რომლებმაც ჯარების ანგარიშზე ჩარიცხეს თანხები. კერძოდ: ლაგოდეხის რაიონის სოფ. ლელიანის ა. წერეთლის სახ. კოლმეურნეობამ ჩარიცხა 200000 მანეთი. ამავე რაიონის კოოპერატივმა „ამბაზმა" — 100000, კაჭრეთის პურკომბინატმა — 50000, ახმეტის ღვინის ქარხნის მოიჯარეთა ორგანიზაციამ — 20000, სიღნაღის რაიონის სოფ. ხირსის ღვინის ქარხანამ — 500000, სიღნაღის რაიონის წნორის პურკომბინატის საწ. კომბინატმა — 250000, სიღნაღის სამრეწველო კომერციული ფირმა „ტიბაანმა" — 500000, ლაგოდეხის რაიონის აფენის ღვინის ქარხანამ — 200000, დედოფლისწყაროს ელევატორმა — 100000, ლაგოდეხის მანქანათმშენებლობის ქარხანამ — 50000, საგარეჯოს რაიონის სოფ. ბადიაურის სამრეწვ. კომერც. ფირმამ — 50000, სადგურ „გურჯაანის" კვების კომბინატმა — 2500, სოხუმის ავტოსატრანსპორტო საწარმომ — 50000, ქ. თბილისის 157-ე საშ. სკოლამ — 700 მანეთი.

⊙ **საქართველოს** მრავალდარგოვანმა სამეცნიერო-საწარმოო კონცერნმა „აღორძინებამ" (პრეზიდენტი — ბიჭიკო უთმელიძე) და მისმა კომერციულმა ბანკმა (მმართველი — ზურაბ კიკალიშვილი) რესპუბლიკის თავდაცვის ფონდში გადარიცხეს 600 ათასი მანეთი. ამას გარდა კონცერნისა და ბანკის კოლექტივებმა გადაწყვიტეს თავდაცვის ფონდში შეიტანონ თავიანთი სამი დღის ხელფასი.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე — სახელმწიფოს მეთაურის, შეიარაღებული ძალების მთავარსარდლის

ბრძანებულება

გენერალ-ლეიტენანტ ა. მ. კამკამიძისათვის სამხედრო წოდების „საქართველოს გენერალ-პოლკოვნიკის" მინიჭების შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლების შესახებ კანონის მე-3 თავის, მე-17 მუხლის, მე-II პუნქტის შესაბამისად მიენიჭოს საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს შეიარაღებული ძალების სარდალს — თავდაცვის მინისტრის პირველ მოადგილეს გენერალ-ლეიტენანტ ანატოლი მიხეილის ძე კამკამიძეს სამხედრო წოდება „საქართველოს გენერალ-პოლკოვნიკი".

ე. შევარდნაძე.

თბილისი. 1992 წლის 15 დეკემბერი.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის — სახელმწიფოს მეთაურის

განკარგულება

დაინიშნოს პაატა კოღუაშვილი საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის წარმომადგენლად აგრარულ საკითხებში ა. წ. 10 დეკემბრიდან.

ე. შევარდნაძე.

თბილისი. 1992 წლის 11 დეკემბერი.

შეხვედრა აზერბაიჯანის დელეგაციასთან

18 დეკემბერს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ — სახელმწიფოს მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ მიიღო აზერბაიჯანის ოფიციალური დელეგაცია, რომელსაც ხელმძღვანელობდნენ ქვეყნის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ტამერლან კარაევი და აზერბაიჯანის პრემიერ-მინისტრის პირველი მოადგილე აბას აბასოვი.

შეხვედრაზე, რომელმაც ურთიერთგაგების ვითარებაში ჩაიარა, ხაზგასმით აღინიშნა, რომ ახალ პოლიტიკურ ვითარებაში კიდევ უფრო იზრდება ორ მეზობელ სახელმწიფოს შორის თანასწორუფლებიანი ურთიერთობის მნიშვნელობა. საქართველოსა და აზერბაიჯანის ახალმა ხელისუფლებმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, იმისთვის, რომ დაიძლიოს ის გამარტივებული შეხედულება, რომელმაც თავი იჩინა ჩვენს ქვეყნებს შორის დამოკიდებულებაში უახლოეს წარსულში. აზერბაიჯანის მხარემ აღნიშნა, რომ ყველა მეზობელ სახელმწიფოს შორის საქართველო ის ქვეყანაა, რომელთანაც აზერბაიჯანს შეუძლია დაამყაროს ყველაზე მჭიდრო ურთიერთობანი. საქართველოს სახელმწიფოს მეთაურმა ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ დემოკრატიული საზოგადოების მშენებლობის გზაზე, რომელსაც დაადგნენ ჩვენი ქვეყნები, სხვა ყველაფრის გარდა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ყველა ერის წარმომადგენელთა უფლებების დაცვას, და გამოთქვა რწმენა, რომ ამ საკითხს თანაბარ ყურადღებას დაუთმობენ საქართველოს და აზერბაიჯანის მხარეები. ორივე მხარემ გამოთქვა სურვილი, რაც შეიძლება, ინტენსიური გახდეს, როგორც სამთავრობო, ისე საპარლამენტო კონტაქტები.

შეხვედრაში მონაწილეობდნენ საქართველოს პარლამენტის სპიკერი ვახტანგ გოგუაძე, სპიკერის მოადგილე, ვახტანგ რჩეულიშვილი, საქართველოს პრემიერ-მინისტრის მოადგილე რომან გოცირიძე და ადამიანის უფლებათა დაცვის და ეროვნებათაშორისი ურთიერთობის კომიტეტის თავმჯდომარე ალექსანდრე კავსაძე.

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის პრესსამდივნო.

სტოკჰოლმის სესიაზე

14 დეკემბერს სტოკჰოლმში გაიხსნა ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს სესია. მის მუშაობაში მონაწილეობს საქართველოს რესპუბლიკის დელეგაცია საგარეო საქმეთა მინისტრის ალექსანდრე ჩიქვაიძის მეთაურობით. დელეგაციის შემადგენლობაში არიან რესპუბლიკის პარლამენტის საგარეო საქმეთა კომისიის თავმჯდომარე თამაზ გამყრელიძე, საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეები გიგა ბურდული და გიორგი გორგილაძე, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საერთაშორისო ორგანიზაციების დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე გიზო გრძელიძე.

სესიის დღის წესრიგშია საორგანიზაციო და ზოგადი საკითხები, ახალი ევროპის ჩამოყალიბებაში ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის როლის განხილვა, მისი თანამოქმედება გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან, ეროვნულ უმცირესობათა საქმეებში უმაღლესი კომისრის დანიშვნა და ა. შ. ვარაუდობენ, რომ სესია დაამტკიცებს ჟენევაში მომზადებულ პროექტს კონფლიქტების მშვიდობიანი მოწესრიგების შესახებ. ამ საკითხზე დაგეგმილია საქართველოს დელეგაციის მეთაურის გამოსვლა.

სესიის წინ პრაღაში გაიმართა ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის უფროს თანამდებობის პირთა მე-18 შეხვედრა. მასში მონაწილეობდა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე გიგა ბურდული.

აფხაზეთის ამბები

ჯარები გაჰყავთ, ჯარები რჩებიან

ერთ-ერთი საცეცხლე წერტილი, საიდანაც ამ დღეებში დამიზნებულად უშენდნენ ნაღმსატყორცნის ცეცხლს სოხუმის ახალ რაიონს, განლაგებული იყო რუსეთის შეიარაღებული ძალების ბიოლოგიური ლაბორატორიის ტერიტორიაზე. ამ გარემოების გამო შეშფოთებული ქალაქის მოსახლეობის სახელით ჩვენ მივმართეთ აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს თამაზ ნადარეიშვილს კითხვით, ჯერ კიდევ რუსეთის რომელი სამხედრო ნაწილების დისლოცირება ხდება ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე.

— აფხაზეთის ტერიტორიაზე, — თქვა მან, — დისლოცირდებიან სასაზღვრო ჯარები. ისინი იცავენ საზღვრებს. მათი გაყვანის საკითხი არ ისმება და საქართველო-რუსეთის ხელშეკრულებაში განსაზღვრული იქნება მათი სტატუსი. რაც შეეხება მერაკეტეებსა და მეკავშირეებს, მათ დატოვეს აფხაზეთის ტერიტორია. მე ვესწრებოდი ამ ნაწილების, მთელი პირადი შემადგენლობისა და მათი ოჯახების წევრების გაყვანას. მაგრამ ეშერის ლაბორატორიის ტერიტორიაზე რჩება მოიერიშეთა სადესანტო ბატალიონი, რომელიც მთლიანად აკონტროლებს იქ სიტუაციას. ადგილზე რჩება სოხუმის შუქურაზე დისლოცირებული ბატალიონიც.

განსაკუთრებით საგანგაშო მდგომარეობაა გუდაუთაში. ბომბორის სამხედრო აეროდრომიდან არ გაუყვანიათ არც ერთი თვითმფრინავი, ხოლო ბომბორა დიდი სტრატეგიული მნიშვნელობის ადგილია, სადაც ბაზა აქვს საავიაციო ესკადრილიას, რომელიც აფხაზეთის პოზიციებს იცავს. სწორედ იქიდან მოფრინავენ სოხუმში მზვერავი თვითმფრინავები, რომლებიც ზოგჯერ რაკეტებს უშენენ არა მარტო საქართველოს ჯარების პოზიციებს, არამედ საცხოვრებელ უბნებსაც. აფხაზეთიდან ამ ნაწილის გაყვანის საკითხის გადაჭრისას მრავალი საკითხიც გადაიჭრება და მდგომარეობა შეიძლება სტაბილური გახდეს.

თენგიზ ჯიბუტი.

ვინ ვის რას მოუწოდებს

აფხაზი ხალხის ბედისათვის, უბედურებაში ჩავარდნილი ადამიანების ხვალინდელი დღისათვის ზრუნვით არის გამსჭვალული აფხაზეთის ხსნის კომიტეტის მოწოდება აფხაზეთისა და საქართველოს ხალხებისადმი. მოწოდებაში, კერძოდ, ნათქვამია: „ჩვენ, აფხაზებმა და ქართველებმა, რომლებიც დავენათესავდით ერთობლივი ცხოვრების მრავალი წლის მანძილზე, დღეს მომაკვდინებელი იარაღი აღვმართეთ ერთმანეთის წინააღმდეგ, ჩვენ თავი ჩაგვათრევინეს ომის ქარცეცხლში, ჩვენი ბრალია, რომ ეს ომი თვეობით გაჭიანურდა, მაგრამ არ უნდა დავუშვათ ამ ომის გაგრძელება, წინაპრების ხსოვნისა და ღვთის შიში გვქონდეს".

რედაქციისაგან: ამ დღეებში გუდაუთის რაიონში გაისმა სხვა მოწოდებაც, აფხაზი ხალხის მოწოდება ჩრდილოეთ კავკასიის მოძმე ხალხებისადმი. იგი შეიცავს მუდარას, დაეხმარეთ და იხსენით აფხაზები გენოციდისაგან. როგორც ჩანს, გუდაუთაში თავიანთ ხალხად აღარ მიაჩნიათ აფხაზი მოსახლეობის ის ნაწილი, რომელსაც არ მიუტოვებია მშობლიური კერები სოხუმში, სოხუმის, გულრიფშის, ოჩამჩირისა და გალის რაიონებში და არ გაჰყოლია აფხაზ ექსტრემისტებს გუდაუთაში. გუდაუთის მოწოდების შესახებ, რომელიც გადასცეს აფხაზი ხალხის სახელით, არაფერი იცის მოსახლეობის ამ ნაწილმა.

ადამიანის უფლებათა დარღვევის აღსაკვეთად

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ადამიანის უფლებათა და ეროვნებათშორისი ურთიერთობის სახელმწიფო კომიტეტის განცხადება

ადამიანის უფლებათა და ეროვნებათშორისი ურთიერთობის კომიტეტში მოსული სარწმუნო ინფორმაციის თანახმად, გუდაუთის რაიონში და იმ ტერიტორიაზე, რომელსაც აკონტროლებენ აფხაზთა სამხედრო ფორმირებებისა და კავკასიის მთიელ ხალხთა კონფედერაციის ძალები, არის ადამიანის უფლებათა დარღვევის, დამცირებისა და ღირსების შეურაცხყოფის მრავალი ფაქტი.

ჩვენს ხელთ არსებული უტყუარი მონაცემებით, აღნიშნულ ტერიტორიებზე იყენებენ მონურ შრომას, ხვრეტენ მშვიდობიან მოსახლეობას, შექმნილია შრომითი ბანაკები ქართული ეროვნების პირთათვის.

ზემოთმოყვანილი ფაქტები არის ადამიანის უფლებათა დეკლარაციის, ვენის კონვენციის უხეში დარღვევა, ეწინააღმდეგება ადამიანის უფლებათა შესახებ შემოღებულ საერთაშორისო ნორმებსა და მიღწეულ შეთანხმებებს, არ შეესაბამება კავკასიაში მცხოვრები ხალხების მრავალსაუკუნოვან ტრადიციებს.

ყოველივე ეს იწვევს საქართველოს მოსახლეობის გულისტკივილსა და შეშფოთებას და ამას შეიძლება მოჰყვეს მწვავე, განუჭვრეტელი რეაქცია ქართველთა მხარის ცალკეულ წარმომადგენელთა მხრიდან.

ასეთი ქმედობის თავიდან ასაცილებლად, პოლიტიკური საკითხების მოგვარებისა და სამხედრო-პოლიტიკური ვითარების სიმწვავის რაც შეიძლება სწრაფად შენელების მიზნით საჭიროდ მივიჩნევთ:

გამოიყოს ორივე მხრიდან მუდმივმოქმედი საკონტროლო-საინსპექციო კომისიები ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტების არსებობის ადგილებზე შესამოწმებლად, რომელშიც უნდა შედიოდნენ აგრეთვე საერთაშორისო მეთვალყურეები და წითელი ჯვრის წარმომადგენლები;

სახელმწიფო დონეზე დაუყოვნებლივ დაიწყოს მძევალთა განთავისუფლებასთან დაკავშირებული საკითხების განხილვა;

დაპირისპირებულმა მხარეებმა იკისრონ ვალდებულებანი, აღარ დაუშვან შემდგომში ადამიანის უფლებათა დარღვევა, მისი ღირსების შეურაცხყოფა, პატივი სცენ სამხედრო ტყვეთა უფლებამოვალეობას;

ადამიანის უფლებათა დარღვევის ყველა ფაქტი გადაიცეს საჯაროდ მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა მეშვეობით კომისიის მიერ მათი გულმოდგინედ შემოწმებისა და დადგენის შემდეგ.

იმ შემთხვევაში, თუ არ იქნება განხორციელებული შემოთავაზებული ღონისძიებანი, მთელი პასუხისმგებლობა შესაძლო შედეგებისათვის დაეკისრება იმ მხარეს, რომელიც ხელს უშლის წამოჭრილი საკითხების გადაწყვეტას.

ქ. სოხუმი.

1992 წლის 11 დეკემბერი.

პირველად გაიმართა

სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია

საქართველოში პირველად გაიმართა ადამიანის უფლებათა დაცვის დღისადმი მიძღვნილი სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია, რომლის ორგანიზატორი იყო სრულიად საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის ასოციაცია.

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდნენ ადამიანის უფლებების დაცვის პრობლემებით დაინტერესებული საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციები. კონფერენციას ესწრებოდა ამერიკის შეერთებული შტატების ელჩის მრჩეველი ადამიანის უფლებების დაცვის საკითხებში ქალბატონი ქენდი გრინი.

კონფერენცია გახსნა სრულიად საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის ასოციაციის პრეზიდენტმა გიორგი კერვალიშვილმა.

გამომსვლელებმა ისაუბრეს ადამიანის უფლებების დაცვის დიდ მნიშვნელობაზე სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლობის საქმეში.

კონფერენციამ მიიღო შესაბამისი რეზოლუცია.

სამი კითხვა ლად არჩეულ ხელმძღვანელს

გარემოს მუდამ უნდა ვიცავდეთ

გვესაუბრება საქართველოს რესპუბლიკის გარემოს დაცვის მინისტრი შოთა ადამია



დაიბადა 1929 წელს, თბილისში. დაამთავრა თბილისის ვაჟთა 85-ე ი. წ. „ფეხბურთელთა" სკოლა, შემდეგ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი გეოლოგის სპეციალობით. უნივერსიტეტის დამთავრების დღიდანვე მუშაობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გეოლოგიის ინსტიტუტში. იყო უმცროსი, შემდეგ უფროსი მეცნიერ თანამშრომელი, განყოფილების ხელმძღვანელი, დირექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში. 1988 წელს აირჩიეს ამავე ინსტიტუტის დირექტორად. 1969 წელს დაიცვა სადოქტორო დისერტაცია, არის 250-მდე სამეცნიერო შრომის ავტორი. 1991 წელს აირჩიეს საქართველოს გეოლოგთა საზოგადოების პრეზიდენტად. არის პროფესორი, კითხულობს ლექციებს თბილისის უნივერსიტეტში. 1986 წელს მიენიჭა აკადემიკოს ა. ჯანელიძის სახელობის პრემია. არჩეულია რუსეთის რამდენიმე სამეცნიერო საზოგადოების და კომისიის ასოცირებულ წევრად, „იუნესკო-ს" საერთაშორისო პროგრამების საბჭოების წევრად, უცხოეთის რამდენიმე სამეცნიერო პერიოდული გამოცემის რედკოლეგიის წევრად. ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.

— ბატონო შოთა, როგორ შეაფასებდით მოკლედ დარგში ამჟამად არსებულ ვითარებას?

— დარგში ვითარება ძალზე მძიმეა, თანაც არა მარტო საქართველოში, არამედ მთლიანად კავკასიაში, შავი და კასპიის ზღვების ჩათვლით. არანაკლებ რთულია მდგომარეობა გლობალური მასშტაბითაც.

საქართველოში გარემოზე მავნე ზეგავლენის რამდენიმე ძირითადი წყაროა, მათგან ბუნებრივი — ადამიანისაგან დამოუკიდებელი, აგრეთვე — ჩვენი დაუდევარი მოქმედების შედეგად წარმოქმნილი. ბუნებრივი სტიქიური მოვლენებიდან ბოლო ხანებში ძალზე „შემოგვეჩვია" მიწისძვრები და მათგან გამოწვეული ისეთი პროცესები, როგორიც არის მეწყრები და ზვავები. არანაკლები, შეიძლება უფრო მეტიც კი არის ის ზიანი, რასაც ადამიანი ბუნებაზე თავისი „მომხმარებლური" ჩარევით იწვევს: წიაღისეულის მტაცებლური მოპოვება და მისი ნარჩენების (რომლებიც ხშირად მაღალტოქსიკურ ნივთიერებებს შეიცავს) ნიადაგში, წყალში და ჰაერში გაბნევა; გაუმართავი საწარმოების უკონტროლო საქმიანობის შედეგად გარემოს დაბინძურება სხვადასხვა მავნე ნივთიერებებით. დიდი და მცირე მშენებლობების გამო, მცენარეული საფარის განადგურება; ნიადაგების დაბინძურება სხვადასხვა პესტიციდით, რომლებიც შემდეგ გადადიან წყალშიც და ჰაერშიც, ხვდებიან ცხოველურ და მცენარეულ ორგანიზმებში; ნიადაგების ეროზია, საყოფაცხოვრებო საქმიანობით გამოწვეული გარემოს დაბინძურება და სხვ.

— თქვენი აზრით, რა არის საჭირო ამჟამად შექმნილი მდგომარეობის თუნდაც ნაწილობრივ გაუმჯობესებისთვის და კონკრეტულად რისი გაკეთება მიგაჩნიათ საამისოდ აუცილებლად უახლოესი თვეების მანძილზე?

— როგორი ტრივიალურიც უნდა იყოს ჩემი პასუხი, მაინც მინდა აღვნიშნო, რომ შექმნილი მდგომარეობის გაუმჯობესებისთვის უწინარესად საჭიროა რესპუბლიკაში ვითარების სრული სტაბილიზაცია.

არცთუ იშვიათად გავიგონებთ — „რა დროს გარემოზე ზრუნვაა, როცა გშია, გწყურია, გცივა, გძარცვავენ და თოფს გესვრიან". მინდა იმედი გამოვთქვა, რომ ასეთები ჩვენში ცოტანი არიან და საქართველოს მოქალაქეები, რა ეროვნებისაც უნდა იყვნენ, განწყობილი არიან იმისათვის, რომ დაიცვან განადგურებისგან ის სამყარო, სადაც თავად ცხოვრობენ და სადაც უნდა იცხოვრონ მათმა შვილებმა, შვილიშვილებმა, შვილთაშვილებმა და ასე უსასრულოდ.

საჭიროა რესპუბლიკის მთელი მოსახლეობის ეკოლოგიური განათლება, რაც შეიძლება მეტი ხალხის ჩართვა მწვანეთა მოძრაობაში, ჩვენი პარლამენტის მიერ კარგად აწონილ-დაწონილი გარემოსდამცავი საკანონმდებლო აქტების დროულად მიღება, რომლებიც ჩვენმა სამინისტრომ, როგორც აღმასრულებელმა ორგანომ, საქმედ უნდა აქციოს. ამისათვის მას დიდი სამუშაოს ჩატარება მოუწევს: აუცილებელია მისი სტრუქტურის ძირეული გაუმჯობესება, საქმიანობაში ჭეშმარიტი პატრიოტების, აღიარებული სპეციალისტების მაქსიმალური ჩართვა, ადგილობრივი გარემოსდამცავი ორგანიზაციების რეალური ამოქმედება.

— როგორ გესახებათ დარგის მუშაობა საბაზრო ეკონომიკისა და საქართველოს სრული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის პირობებში?

— საბაზრო ეკონომიკურ ურთიერთობებზე გადასვლის გარდამავალ პერიოდს თავისი სირთულეებიც ახლავს, მათ შორის გარემოს დაცვის ასპექტებშიც. სავსებით მოსალოდნელია, რომ რეფორმების ლოზუნგების ამოფარებით ბევრმა, შინაურმა თუ სტუმარმა, სცადოს ბუნებისადმი საზიანო საქმიანობის გაჩაღება: ეს შეეხება როგორც წიაღს და წიაღისეულს, ასევე მცენარეულ საფარს, ცხოველთა სამყაროს და ა. შ. ცნობილია ფაქტი, რომ უცხოეთის ზოგმა სახელმწიფომ სცადა ევროპის ქვეყნებში დაგროვილი სხვადასხვაგვარი წარმოების მავნე ნარჩენების საქართველოში შემოტანა მისი აქ გადამუშავების, ნაწილობრივ კი ჩვენს ნიადაგებში ჩამარხვის მიზნით. რასაკვირველია, ამისათვის გარკვეულ ანაზღაურებასაც გვპირდებოდნენ. ისიც ცნობილია, თუ როგორ კატეგორიულად აუდგნენ ამას წინ ჩვენი „მწვანეები" და სახელმწიფო საბჭოს მხარდაჭერით მიიღეს კიდეც კანონი მსგავსი საქმიანობის დაუშვებლობის შესახებ. სხვა არაერთი მაგალითი შეიძლება მოვიყვანოთ, მაგრამ ნათქვამიც ნათელყოფს, თუ რა დიდი სიფრთხილე და წინდახედულება გვმართებს, რომ ჩვენი გაჭირვებით არ ისარგებლოს მავანმა და მავანმა, არ გაგვინადგუროს საცხოვრებელი გარემო.

საქართველოში სახელმწიფოებრიობის აღდგენა, მის მიერ დამოუკიდებლობის მოპოვება ჩვენ ყველას, მათ შორის ბუნების ქომაგებს, დიდ პასუხისმგებლობასაც გვაკისრებს მსოფლიო ხალხების წინაშე. ადმინისტრაციული საზღვრები არ წარმოადგენენ გარემოზე ზეგავლენის რაიმე ბარიერს. ჩვენ ამ მხრივ იზოლირებული არა ვართ და უნდა გავუწიოთ ანგარიში როგორც ჩვენს მოსახლეობას, ისე უშუალო მეზობლებს და ასევე მოშორებულ ქვეყნებსაც. ჩვენ უკვე შევუერთდით მსოფლიო ეკოლოგიური ორგანიზაციების და ფორუმების მიერ შემუშავებულ გარემოსდამცავ კანონებსა და ხელშეკრულებებს. საქართველოს „მწვანეები" მსოფლიო აღიარებით სარგებლობენ და მისი ლიდერები „მწვანეთა" საერთაშორისო ორგანიზაციებში შედიან, ზოგი მათგანი (ზ. ქვანია, ზ. ნოღაიდელი და სხვ.) ამ ორგანიზაციების ხელმძღვანელებადაც არიან არჩეული, რაც ჩვენს დარგს, თითოეულ ჩვენთაგანს უდიდეს პასუხისმგებლობას აკისრებს.

ესაუბრა
ეკა ლეჟავა.

რკინიგზას დაცვა უნდა

რეპორტაჟი საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურის კოლეგიის სხდომიდან

ეს სხდომა სხვებისაგან მკვეთრად განსხვავდებოდა. იგი არ იყო გადატვირთული განსახილველი საკითხების სიმრავლით. ამჯერად განიხილეს ერთადერთი საკითხი, რომელიც თანამედროვე ეტაპზე განსაკუთრებულ აქტუალურ პრობლემად იქცა და ყველას აღელვებს და აფიქრებს: „ტრანსპორტზე გადასაზიდი ტვირთის დაცვის შესახებ კანონმდებლობის შესრულების და ამ კატეგორიის დანაშაულზე სისხლის სამართლის საქმეთა გამოძიებისადმი საპროკურორო ზედამხედველობის შესახებ".

სხდომაზე მოწვეული იყვნენ საქართველოს რკინიგზის დეპარტამენტის, შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელი მუშაკები, ზოგიერთი ქალაქისა და რაიონის პროკურორები.

განხილვამ მწვავე ხასიათი მიიღო. მომხსენებელმა, რესპუბლიკის პროკურატურის ტრანსპორტზე კანონების შესრულებისადმი ზედამხედველობის სამმართველოს უფროსმა ნუგზარ შოშიაშვილმა საფუძვლიანად მიმოიხილა ამ მხრივ რესპუბლიკის რკინიგზაზე შექმნილი არანორმალური მდგომარეობა და განუკითხაობა, რაც უმეტესად რთულმა სოციალურ-პოლიტიკურმა ვითარებამ, განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოში მიმდინარე პროცესებმა, დესტრუქციული ძალების მავნე მოქმედებამ გამოიწვია.

— წლეულს, — თქვა მომხსენებელმა, — რესპუბლიკის რკინიგზას მიადგა 12 მილიარდი მანეთის ზარალი. აქედან დატაცებათა წილად მოდის 4 მილიარდი მანეთის ზარალი, დანარჩენი — რკინიგზის მოძრაობის ბლოკირების გამო ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების მიერ ტვირთების სხვადასხვა ორგანიზაციებზე გადაცემის შედეგია. აფხაზი სეპარატისტების, დაქირავებული და ბანდიტური ჯგუფების მოქმედებით მიმდინარე წლის შუა აგვისტოდან გაძარცულია 500 დატვირთული ვაგონი, ნაძარცვის საორიენტაციო ღირებულებამ სამ მილიარდამდე მანეთი შეადგინა. მარტო ორი თვის მანძილზე სამტრედია-განთიადის უბანზე მასობრივი შეიარაღებული თავდასხმების, სადგურებში მდგომი ვაგონებიდან ტვირთების დატაცების შედეგად რკინიგზამ 1,5 მილიარდზე მეტი მანეთი იზარალა. ყველაზე დიდი ზარალი მან მაინც გალი-ინგირის გადასარბენზე, სადგურებში ცაცხვში, ცივში, ხობში, სენაკში და სხვაგან ნახა, სადაც ბანდიტურ ჯგუფებთან ერთად ძარცვა-გლეჯაში ადგილობრივი მოსახლეობაც მონაწილეობს. საამისოდ მოსახლეობა წინასწარ მიზანმიმართულად ემზადება. იყენებენ ყოველგვარ სატრანსპორტო საშუალებას, მათ შორის საჭაპანოსაც. ყველაზე შემაძრწუნებელი ის არის, რომ ძარცვაში მონაწილეობენ ქალები და ბავშვები. ნათქვამმა მომაგონა, რაც ჩემი თვალით ვიხილე სადგურ სენაკში შაქრის ფხვნილით დატვირთული ვაგონების ძარცვისას. გაბოროტებული ბრბო ტექნიკური საშუალებით უმოწყალოდ ამტვრევდა ძვირადღირებულ ვაგონებს.

ჩვენი დროის ბარბაროსები ძარცვავენ არა მარტო მატარებლებს, არამედ მთელ რკინიგზას, ბევრ ადგილას გაიტაცეს და გაანადგურეს ძვირადღირებული ელექტრომოწყობილობანი, რამაც უმძიმეს პირობებში ჩააყენა სალიანდაგო, ელექტროფიკაციის, სიგნალიზაციისა და კავშირგაბმულობის სამსახურები, საფრთხეშია მატარებლების მოძრაობა: შეშფოთება გამოიწვია საქართველოს რკინიგზის დეპარტამენტის უფროსის რემ ვაშაკიძის ნათქვამმა იმის შესახებ, რომ უკანასკნელ ხანებში ფართო მასშტაბი შეიძინა საქართველოს მატარებლების ძარცვამ მეზობელი ქვეყნების, კერძოდ, ჩეჩნეთის ტერიტორიაზე, სადაც იშვიათი როდია მატარებლების მომსახურე პერსონალისა და მგზავრების აბუჩად აგდებისა და ფიზიკური შეურაცხყოფის შემთხვევები, თუ ასე გაგრძელდა, დროებით მოგვიწევს თბილის-მოსკოვის სამგზავრო მატარებლების მოძრაობის შეწყვეტა, — თქვა მან. — გადამთიელებთან ერთად შინაურებიც არ გვინდობენ. ხანგრძლივი შეფერხების შემდეგ სოხუმიდან თბილისის მიმართულებით გამოსული პირველი მატარებელი უმოწყალოდ გაიძარცვა ინგირის რკინიგზის სადგურზე. ბარბაროსმა ბოროტმოქმედებმა განსაცდელისაგან გამოხსნილი ლტოლვილებიც კი არ დაინდეს, წაგლიჯეს, რაც რამ ებადათ და რაც ძლივს გამოიტანეს ფრონტის ხაზიდან. აი, მათი ფიზიკური და სულიერი დაცემა!

რკინიგზას განსაკუთრებით დიდ ზარალს აყენებენ სპილენძის დამტაცებლები. მარტო ამით გამოწვეული ზარალი 88 მილიონი მანეთია. ამ საქმეს არც შემდგომში დაადგება საშველი, თუ ერთხელ და სამუდამოდ არ აღიკვეთა თურქეთში სპილენძის გატანა.

სხდომაზე პირუთვნელად და მკაცრად ითქვა რკინიგზის სამსახურის უპასუხისმგებლობასა და არადამაკმაყოფილებელ მუშაობაზე, რისი დამადასტურებელი მრავალი სამწუხარო მაგალითიც მოიყვანეს. კერძოდ, რა გამართლება შეიძლება მოეძებნოს იმ ფაქტს, რომ ფოთის რკინიგზის სადგურში ორ წელზე მეტია გადმოტვირთვის მოლოდინში დგას მილებით, ქიმიკატებით, ქვანახშირით დატვირთული 300-მდე ვაგონი, სადაც ტვირთსაც იტაცებენ, და ვაგონები, რომლებიც განსაკუთრებით ესაჭიროება ქვეყნის მოშლილ სახალხო მეურნეობას, ცდება. ბათუმის რკინიგზის სადგურის მესვეურებმა ღვინით დატვირთული ორი დაზიანებული ვაგონი-ცისტერნა ღვინის ქარხნის მაგივრად სულ სხვა მიმართულებით გაგზავნეს და შექმნეს პროდუქციის დატაცების პირობები. ცისტერნების გახსნისას მართლაც აღმოჩნდა დიდძალი ღვინის დანაკლისი. სამტრედია-სატვირთო — მეორე სადგურის მესვეურებს გულთან სულაც არ მიაქვთ, რომ მილიონობით მანეთის ღირებულების მატერიალური ფასეულობანი ხანგრძლივი დროის მანძილზე ბედის ანაბარადაა მიტოვებული და შექმნილია მათი დატაცების პირობები. კოლეგიის სხდომაზე კეთილად არც გასამხედროებული დაცვის მუშაკები მოიხსენიეს და მათი უპასუხისმგებლობის საილუსტრაციოდ რამდენიმე ფაქტი დაასახელეს: სადგურ ბათუმში მათ თვალწინ დაიტაცეს 33 ცალი ფერადი ტელევიზორი „შილიალისი", სადგურ ლილოში — დიდი რაოდენობით ავტოსაბურავები და ა. შ.

რკინიგზის ზოგიერთი მუშაკი თურმე ტვირთის გადამალვასაც არ ერიდება, რათა იგი მოხერხებულ დროს დაიტაცოს. სადგურ თბილისი-სატვირთოს საკონტეინერო ბაქანზე 1989 წლის დეკემბრიდან გადამალული იყო ავსტრალიური მატყლით დატვირთული ორი კონტეინერი, რაც მხოლოდ მათი მოპარვის შემდეგ გახდა ცნობილი. ამავე ბაქანზე აღმოჩნდა 35 უპატრონო კონტეინერი, რომელთა კუთვნილების დასადგენად არავითარ მუშაობას არ ეწეოდნენ. ტვირთების მასობრივად დატაცება გამოწვეულია იმითაც, რომ სადგურებსა და მასობრივი გასინჯვის პუნქტებში მიივიწყეს ან უხარისხოდ ატარებენ კომერციულ დათვალიერებებს, უსაფუძვლოდ ახდენენ მატარებლების გადამისამართებას. ყოველგვარი გასინჯვის გარეშე თბილისი-საკვანძოდან სადგურ ავჭალაში უკრეს თავი ინდუსტრიალნაიადან მიღებულ ვაგონს, რომელშიც შემდგომში გამოვლინდა 1.164.426 მანეთის სპილენძის დანაკლისი. სადგურ სამტრედიაში, თუმცა ვაგონებსა და კონტეინერებს ახარისხებენ და ღამით გზავნიან დანიშნულების სადგურებში, ხშირია ტვირთების დანაკლისის ფაქტები, რაც იმაზე მიუთითებს, რომ დახარისხებისას იტაცებენ ტვირთებს. მაგალითად, სექტემბერში სამტრედიის ღამით ბათუმის სადგურმა მიიღო ილიჩოვსკიდან გამოგზავნილი ვაგონი, გახსნისას მასში აღმოჩნდა დიდი ოდენობის ავტოსათადარიგო ნაწილების დანაკლისი. ფეხსაცმლის დიდი დანაკლისი იყო ამავე სადგურში ლვოვიდან გამოგზავნილ კონტეინერში.

საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს სატრანსპორტო პოლიციის მთავარი სამმართველოს საინფორმაციო ცენტრის მონაცემებით, მიმდინარე წლის 10 თვეში რკინიგზის მოძრავი შემადგენლობიდან მთლიანად დატაცების 499 შემთხვევას ჰქონდა ადგილი, რაც წინა წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელთან შედარებით 174 ერთეულით, ანუ 35 პროცენტით მეტია. აღნიშნული მონაცემები ოდნავადაც ვერ ასახავს არსებულ მდგომარეობას, დადგენილია აშკარა შეუსაბამობა საინფორმაციო ცენტრის მონაცემებსა და სინამდვილეში მომხდარ დატაცებებზე შედგენილ აქტებს შორის, რაც რამდენჯერმე აღემატება სტატისტიკის მონაცემებს. აღნიშნულზე მკაცრად მიუთითეს სატრანსპორტო პოლიციის მთავარი სამმართველოს ხელმძღვანელობას. ეს აღნიშნეს საგამოძიებო სამმართველოს უფროსმა რევაზ გოგელიამ და ამავე სამმართველოს ტვირთის დატაცების წინააღმდეგ ბრძოლის განყოფილების უფროსმა ანდრო მჭედლიძემ, რომელთა გამოსვლები კრიტიკული და თვითკრიტიკული იყო.

რკინიგზაზე შექმნილი არანორმალური მდგომარეობის მიზეზები — ითქვა კოლეგიაზე, — იმაშიც უნდა ვეძიოთ, რომ როგორც საერთოდ საქართველოს, ასევე აჭარის, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკების, თბილისის, ფოთის, ქუთაისის, სამტრედიის, ხაშურის, და სხვა რაიონების პროკურატურები არასაკმარისად ახორციელებენ საერთო ზედამხედველობას ტვირთების დაცვაზე, კანონმდებლობის აღსრულებაზე, დროულად არ ავლენენ გზის სამსახურების, განყოფილებების, სადგურების მუშაობაში არსებულ დარღვევებს და დანაშაულობებს.

არასაკმარისია და რიგ შემთხვევებში არაეფექტურად ხორციელდება საპროკურორო ზედამხედველობა შინაგან საქმეთა სახაზო განყოფილებებში ტვირთის დატაცებათა შესახებ სისხლის სამართლის საქმეთა აღძვრისა და გამოძიების მიმდინარეობაზე. ყველაფერი ეს გახდა აგრეთვე იმის მიზეზი, რომ საგანგაშო მდგომარეობაა სისხლის სამართლის დანაშაულობათა გახსნაში. მთლიანად გახსნილია რეგისტრირებული დანაშაულის 23 პროცენტი. ზესტაფონსა და სოხუმში ეს მაჩვენებელი სამჯერ დაბალია, დანაშაულთა გახსნაში ცუდი მდგომარეობაა სამტრედიაში, თბილის-სამგზავროსა და თბილის-საკვანძოში, ქუთაისში, ბათუმში, ფოთში. საქმეთა გაუხსნელობის ძირითადი მიზეზია აგრეთვე პოლიციის ოპერატიული მუშაკების გარკვეული ნაწილის დაბალი კვალიფიკაცია და მომზადება, აუცილებელ სამძებრო ღონისძიებათა დროულად გაუტარებლობა, შემთხვევის ადგილების უხარისხო დათვალიერება, სისხლის სამართლის საქმეთა დაგვიანებით აღძვრა, არაინტენსიური გამოძიება და ა. შ.

ვინ დაიცავს რკინიგზას? რა უნდა ვიღონოთ, რომ ქვეყნის სასიცოცხლო არტერია ხელშეუხებელი გავხადოთ დესტრუქციული ძალებისა და დამნაშავე ელემენტებისაგან, შეწყდეს მისი ძარცვა-გლეჯა და გაპარტახება? აი, შეკითხვები, რაც ერთნაირად აწუხებდა კოლეგიის ყოველ წევრს და მისი მუშაობის მონაწილეთ. სხდომაზე გამოვიდა კოლეგიის თითქმის ყველა წევრი, ორატორებმა დააყენეს მთელი რიგი პრაქტიკული საკითხები. მათ კატეგორიულად მოითხოვეს რკინიგზის დარგობრივი პროკურატურის და მისი ადგილობრივი რგოლების აღდგენა, რომლებიც ხუთი თვის წინათ დაუსაბუთებლად გააუქმეს, რამაც დიდი ზიანი მოუტანა კანონმდებლობის განმტკიცებას, პოლიციის სპეციალური პოლკის თანამშრომელთა რიცხოვნების მკვეთრად გაზრდა, მის რიგებში პატიოსანი ადამიანების მოზიდვა, რომლებიც თავს გაართმევენ დაკისრებულ მოვალეობას, რკინიგზის დაცვის მუშაკთათვის ასევე დაუსაბუთებლად ჩამორთმეული ასობით ცეცხლსასროლი იარაღის დაბრუნება. საავტომობილო, საავიაციო, საზღვაო და სარკინიგზო ობიექტებზე საბაჟოების სასწრაფოდ გახსნა და არსებულში წესრიგის დამყარება, სამართალდამცავი ორგანოების მუშაობის მკვეთრი გაუმჯობესება, კოლეგიაზე მოითხოვეს, რომ მკაცრად დაისაჯონ ისინი, ვინც ხელს უწყობს ტრანსპორტზე უწესრიგობას, უპასუხისმგებლობასა და დაუდევრობას, ქმნის დამნაშავე ელემენტების დაუსჯელობის ატმოსფეროს, რაც დანაშაულისაკენ უბიძგებს არაკეთილსინდისიერ ადამიანებს. ყველა ეს საკითხი აისახა კოლეგიის კონკრეტულ გადაწყვეტილებებში.

სხდომის მუშაობა შეაჯამა საქართველოს რესპუბლიკის გენერალურმა პროკურორმა, ბატონმა თედო ნინიძემ.

დავით ბიწაძე.

პარტიებსა და მოძრაობებში

ედპ წარმომადგენლები ბრიუსელში

როგორც ცნობილია, **ქრისტიანულ-დემოკრატიული ინტერნაციონალის მოწვევით ბელგიის დედაქალაქ ბრიუსელში იმყოფებოდა საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის დელეგაცია გიორგი ჭანტურიას, მამუკა გიორგაძისა და დავით ჭეიშვილის შემადგენლობით.**

ქრისტიან-დემოკრატიული ინტერნაციონალის ფინანსურმა შესაძლებლობებმა საშუალება მისცა ევროპის, აზიის, აფრიკის, ლათინური ამერიკის ორგანიზაციებსა და საქართველოს ორივე ქრისტიანულ პარტიას (ეროვნულ-დემოკრატიული პარტია და ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირი) მონაწილეობა მიეღოთ ინტერნაციონალის პოლიტიკური ბიუროს მუშაობაში.

მრავალწლიანი ძალისხმევა ბრიუსელში ა. წ. 9 დეკემბერს წარმატებით დაგვირგვინდა, როდესაც ეროვნულ-დემოკრატიული პარტიისა და სხვა ორგანიზაციების თავმჯდომარეებმა ხელი მოაწერეს დეკლარაციას აღმოსავლეთ ევროპის ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის შექმნის თაობაზე, რომელიც ინტერნაციონალის სტრუქტურებში გაერთიანდება.

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია ერთადერთი პარტიაა აღმოსავლეთ ევროპის ორგანიზაციებს შორის, რომელიც რეგიონული პრინციპის გათვალისწინების გარეშე, ინდივიდუალურად შევიდა ინტერნაციონალში, რისი დამადასტურებელი ოფიციალური დოკუმენტი გაფორმდება 1993 წლის 28 თებერვალს.

ქრისტიანულ-დემოკრატიული ინტერნაციონალის პოლიტიკური ბიუროს სხდომაზე სიტყვით გამოვიდა ედპ-ს თავმჯდომარე გიორგი ჭანტურია, რომელმაც მადლობა გადაუხადა ინტერნაციონალს ნდობისათვის.

1993 წლის მარტის დასაწყისში დანიშნულია ქრისტიანულ-დემოკრატიული ინტერნაციონალის ყრილობა ბრიუსელში, სადაც ინტერნაციონალის პრეზიდენტის პოსტზე კენჭს იყრის ჯულიო ანდრეოტი.

ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის პრესცენტრი.

ქრისტიან-დემოკრატები ერთიანდებიან

მიმდინარე წლის 9 დეკემბერს ბელგიის დედაქალაქ ბრიუსელში, ევროპის ქრისტიან-დემოკრატთა შტაბ-ბინაში საქართველოს ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის დელეგაციის მიერ ხელმოწერილი იქნა დოკუმენტი ევროპის ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის შექმნის შესახებ. დოკუმენტს ასევე ხელს აწერენ საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია, რუსეთის, სომხეთის, ბელორუსის ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირების წარმომადგენლები.

იმავე დღეს საქართველოს ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის დელეგაციამ, რომელსაც ირაკლი შენგელაია მეთაურობდა, ევროპის ქრისტიანულ-დემოკრატების ამ წარმომადგენლობით შეკრებაზე გაავრცელა დეკლარაცია ევროპის ქრისტიან-დემოკრატების გაერთიანების შექმნის შესახებ.

1993 წლის 13 დეკემბერს მოსკოვში, კონრად ადენაუერის ფონდის წარმომადგენლობაში ჩატარდა პოლიტიკური სემინარი, ბრიუსელის დეკლარაცია გავრცელდა სემინარის მონაწილეთა შორის.

ფაქტიურად, საქართველოს ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირი არის ერთ-ერთი მოთავე საერთო-ევროპული ქრისტიანულ-დემოკრატიული სივრცის შექმნისა.

საქართველოს ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის პრესცენტრი.

უმუშევრები შველას ითხოვენ

უმუშევართა და უმუშევრობის პრობლემები დღევანდელობის ერთ-ერთი მწვავე პრობლემაა, რომლის გადაწყვეტაში მთელმა საზოგადოებრიობამ უნდა მიიღოს აქტიური მონაწილეობა.

ამ საკითხის შესწავლის მიზნით გაიმართა საქართველოს სახალხო პარტიის მთავარი კომიტეტის წევრთა შეხვედრა უმუშევართა სოციალური დაცვის კავშირის გამგეობის წევრებთან.

შეხვედრაზე აღინიშნა, რომ ცნობილ მიზეზთა გამო სულ უფრო იზრდება იმ პირთა რიცხვი, რომელთაც დაკარგეს სამუშაო ან უფასო შვებულებაში არიან, რაც ამ კატეგორიის პირებსაც უმუშევართა რიგებში აყენებს. ყოველივე ეს ზრდის სოციალური აფეთქების საფრთხეს, დღითიდღე ართულებს კრიმინოგენურ ვითარებას.

უმუშევართა კავშირის წარმომადგენლებმა უკმაყოფილება გამოთქვეს იმის გამო, რომ გაუმართლებლად ჭიანურდება კავშირის რეგისტრაცია. პასიურობას იჩენს საქართველოს დამოუკიდებელი პროფკავშირების კონფედერაცია, რომელიც თავად უნდა იყოს დაინტერესებული უმუშევართა კავშირთან თანამშრომლობით. სახალხო პარტიის თავმჯდომარემ გიორგი სიხარულიძემ მადლობა მოახსენა უმუშევართა სოციალური დაცვის კავშირის გამგეობის წევრებს შეხვედრის ორგანიზებისა და საყურადღებო ინფორმაციისათვის. გადაწყდა, მომზადდეს საქართველოს სახალხო პარტიისა და კავშირის ხელშეკრულება, შეიქმნას ერთობლივი კომისია უმუშევართა პრობლემების შესწავლის მიზნით.

საქართველოს ენერგეტიკა:

დღეს და ხვალ

საქართველოს საინფორმაციო სააგენტოს კორესპონდენტის კითხვებს უპასუხებს საქართველოს სათბობისა და ენერგეტიკის მინისტრი რევაზ არველაძე.

— ბატონო რევაზ, რა უახლოეს და პერსპექტიულ გეგმებს ისახავთ დარგის განვითარებისათვის?

— უახლოესი დროისათვის უმთავრესია მივაღწიოთ, რომ შეუფერხებლად მარაგდებოდეს სათბობითა და ელექტროენერგიით ყველაზე ცხელი წერტილები საქართველო-აფხაზეთი. სოხუმი, რომელსაც არტილერიის ცეცხლსა და რაკეტებს უშენენ, სადაც ვითარება უკიდურესად დაძაბულია, აუცილებლად უნდა მომარაგდეს ელექტროენერგიით, სათბობით, გაზით. მთელი ჩვენი ძალისხმევაც ამას ემსახურება. მაგრამ მთელი უბედურება ის არის, რომ აფხაზი ექსტრემისტები, მათი ხელშემწყობნი, პროვოკატორები ყველაფერს კადრულობენ, რათა ხელი შეუშალონ ენერგეტიკოსთა ნორმალურ მუშაობას, მათ მწყობრიდან გამოიყვანეს ათობით ქვესადგური, ელექტროგადამცემი ხაზები, მოკლე დროში ორჯერ ააფეთქეს ელექტროგადამცემი ხაზი — 500 „იმერეთი". იმუქრებიან, რომ ახალ ძირგამომთხრელ აქციებს განახორციელებენ.

— რა კეთდება ენერგეტიკული რესურსების წარმოების მართვის და მოხმარების გაუმჯობესებისათვის?

— ჩვენი რესპუბლიკა მთლიანად და დიდი ხნით არის უზრუნველყოფილი საკუთარი ენერგორესურსებით. ამის საფუძველზე შეიქმნა სწორედ მძლავრი სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსი. გვაქვს აგრეთვე ენერგიის ისეთი წყაროები, როგორიც არის მიწის სიღრმისეული სითბო, მზე, ქარი. მართალია, მომავალი ათასწლეულის დამდეგისათვის როგორც ჩვენს რესპუბლიკაში, ისე მსოფლიოში ენერგიის წყაროების ეკოლოგიურად სუფთა ალმდგენების წილი მხოლოდ ერთ პროცენტს შეადგენს, მაგრამ დარწმუნებული ვარ, მომავალი ჩვენ გვეკუთვნის. ჯერჯერობით კი, სამწუხაროდ, ვერ ვისწავლეთ ელექტროენერგიის დაზოგვა, სათანადო კონტროლს ვერ ვუწესებთ მის ყაირათიან ხარჯვას.

— შეიძლება რუსეთის დახმარების იმედი ვიქონიოთ?

— მე მომხრე ვარ გაუმჯობესდეს ეკონომიკური ურთიერთობა რუსეთთან, და საერთოდ ყოფილი საბჭოთა კავშირის ყველა რესპუბლიკასთან. ამასთანავე რუსეთი კვლავ ელექტროენერგიისა და ყველა სახეობის სათბობის მძლავრი მიმწოდებელია. თუ ჩვენ მასთან პირდაპირი კონტაქტები არ დავამყარეთ, უახლოეს წლებში ძალზე გაგვიჭირდება.

— რა აზრის ხართ ისეთი დიდი ელექტროსადგურების მშენებლობაზე, როგორიც არის, მაგალითად, ენგურის, ხუდონის ჰიდროელექტროსადგურები?

— ენგურის ჰიდროელექტროსადგური უკვე მოქმედებს და მასზე დიდ იმედებს ვამყარებთ. რაც შეეხება ხუდონის ჰიდროელექტროსადგურს, უნდა მოგახსენოთ, რომ აქ უკვე აშენდა ბევრი მნიშვნელოვანი ობიექტი, ჩაყრილია საძირკველი, გაყვანილია გვირაბი. ვფიქრობ, რომ მშენებლობა უნდა დამთავრდეს, მაგრამ აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ ეკოლოგიისა და სოციალური ინფრასტრუქტურის ყველა მოთხოვნა. ყველა დიდ ცივილიზებულ ქვეყანაში მოქმედებს და შენდება დიდი ჰიდროელექტროსადგურები. რატომ უნდა იყოს საქართველო გამონაკლისი, და კიდევ, ამ საკითხს მარტო ჩვენი სამინისტრო ვერ გადაწყვეტს. იგი უნდა განიხილონ სწავლულებმა — ეკოლოგებმა, გეოლოგებმა, ბოტანიკოსებმა, შემდეგ კი მთავრობამ, პარლამენტმა, და რაც ყველაზე მთავარია საზოგადოებრიობამ. გადამწყვეტი სიტყვა მათ ეკუთვნით.

ესაუბრა
დავით რამიშვილი.

თემურ მირიანაშვილი.

გაზეთ „იბერია-სპექტრში" (№ 53) გამოქვეყნდა ბატონ ედუარდ შევარდნაძის ვრცელი, თითქმის ექვსგვერდიანი ინტერვიუ. ინტერვიუერმა, გაზეთის მთავარმა რედაქტორმა ირაკლი გოცირიძემ საუბარი ისე წარმართა, რომ რესპონდენტს მოუხდა რამდენჯერმე დაბრუნებოდა იმ ადამიანთა პასუხისმგებლობის საკითხს, რომელნიც ამა თუ იმ ფორმით თანამშრომლობდნენ კომუნისტურ ხელისუფლებასთან, იმ ხელისუფლებისგან ჯილდოებს და პრემიებს იღებდნენ.

კონსტანტინე გამსახურდია და სტალინური პრემია

პასუხად „იბერია-სპექტრის" პუბლიკაციებზე

ჩვენი სახელმწიფოს მეთაურის აზრი ამ საკითხზე უმოკლესად ასე შეიძლება გადმოიცეს: არ ღირს წარსულის ქექვა ვინმესთვის სახელის გატეხის მიზნით, რადგან ეს ხელს უშლის ერის კონსოლიდაციას. თვით ბოლშევიკებსაც კი ჰყოფნიდათ შორსმჭვრეტელობა, რომ არ ედევნათ ცარიზმის ყველა მოხელე. ბოლშევიკები ხვდებოდნენ, რომ უიმათოდ ახალ სახელმწიფოს ვერ ააშენებდნენ, ამიტომ მეფის არაერთი ქვეშევრდომი თვალსაჩინო სპეციალისტი მოიმხრეს და ფასდაუდებელი სამსახურიც გააწევინეს. საქართველოსთანა პატარა ქვეყანას განსაკუთრებით მართებს ზრუნვა თავის ინტელექტუალურ პოტენციალზე, მართებს ამ სფეროში უაღრესად ფრთხილი, წინდახედული პოლიტიკის წარმართვა. შემდეგ ბატონი ე. შევარდნაძე განაგრძობს: „სხვის ცხოვრებაში ხელის ფათურით ჩვენს ძველ მოღვაწეთა პირად ცხოვრებაშიც შეიძლება ისეთი ამბები აღმოვაჩინოთ, რომ შეიძლება კიდეც გაგვიკვირდეს, თუ როგორ გავაფეტიშეთ ეს ადამიანი. (...) მაგრამ მათი სამსახური ხალხისადმი, მათი მაღალი ინტელექტი, შრომის ნაყოფი, შემოქმედების ნაყოფი იმდენად დიდია, რომ ის, რაც მათს პირად ცხოვრებაში ხდებოდა, მეორე პლანზე გადადის, თანდათან უკვალოდ ქრება და რჩება ის დიდი, რაც მათ შესძინეს ერს, კაცობრიობას". აქ ბატონმა ედუარდმა სამაგალითოდ დაასახელა რამდენიმე სახელმოხვეჭილი მოღვაწე, მათ შორის კონსტანტინე გამსახურდიაც. ე. შევარდნაძემ აღნიშნა, რომ ახსოვს და არქივებშიც წაუკითხავს, თუ როგორ იბრძოდა კ. გამსახურდია სტალინური პრემიის მისაღებად. ამ მიზნით მან მისწერა ბერიას. საქმეში სხვა უმაღლესი დონის ფუნქციონერებიც ჩარიეს, ხელმეორედ დაუბრუნდნენ კ. გამსახურდიასთვის პრემიის მინიჭების საკითხს და ბოლოს და ბოლოს მიანიჭეს კიდეც. ე. შევარდნაძე დასძენს: „ქართველი მწერალი თვლიდა, რომ ეს პრემია იქნებოდა მისი ნაწარმოების აღიარება კავშირის მასშტაბით და, მაშასადამე, მსოფლიოს მასშტაბითაც. ეს იქნებოდა ის, რომ საქართველოს ისტორიას მსოფლიო გაიცნობდა. აი, ეს გზა მოძებნა კ. გამსახურდიამ, რადგან მისი მთავარი მიზანი ეროვნული ინტერესები იყო".

„იბერია-სპექტრის" მომდევნო ნომერში (54) გამოქვეყნდა ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ სოსო სიგუას რეპლიკა „ეს შეცდომაა!" რომელშიც ვკითხულობთ: „კ. გამსახურდიას არ მიუღია სტალინური პრემია და არც ყოფილა წარდგენილი მასზე", (თუმცა ავტორი არ უარყოფს, რომ კ. გამსახურდიას საბჭოთა ხელისუფლებისგან მრავალი სხვა ჯილდო და პრივილეგია ჰქონდა მიღებული).

„იბერია-სპექტრი" ამ საკითხს მორიგ (55) ნომერშიც დაუბრუნდა. პუბლიკაციაში „Г-н Шеварднадзе ошибся" ვკითხულობთ, რომ რედაქციას ბევრმა ადამიანმა მისწერა, დაურეკა და ყველას აინტერესებს, იყო თუ არა კ. გამსახურდია სტალინური პრემიის ლაურეატი. გაზეთი იმეორებს (ამჯერად რუსულად) ს. სიგუას მიერ წინა ნომერში გამოთქმულ მოსაზრებას.

რაკი დღევანდელი ხელისუფლებისადმი ყველაზე უფრო რადიკალურად ოპოზიციური გაზეთი და მისი მკითხველები ესოდენ დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ დადგენას იმისა, იყო თუ არა კ. გამსახურდია სტალინური პრემიის ლაურეატი ან წარდგენილი ამ პრემიაზე, ალბათ საჭიროა ითქვას სრული სიმართლე.

ბ-ნი ე. შევარდნაძე უდავოდ შეცდა, როცა თქვა, რომ კ. გამსახურდიას მიანიჭეს სტალინური პრემია. მაგრამ შეცდა სოსო სიგუაც; არსებობს დოკუმენტები, რომლებიც ადასტურებს ე. შევარდნაძის ნათქვამის სისწორეს იმის თაობაზე, რომ კ. გამსახურდია იბრძოდა სტალინური პრემიის მოსაპოვებლად, ამ მიზნით მისწერა ლავრენტი ბერიას, საქმეში ჩარია საბჭოური იერარქიის სხვა უმაღლესი ჩინოსანნიც — გიორგი მალენკოვი, სერგო (სერიოჟა) ქავთარაძე, პეტრე შარია.

ეს დოკუმენტები დაცულია უახლესი ისტორიის დოკუმენტთა შენახვისა და შესწავლის რუსეთის ცენტრში (РЦХИДНИ). აქ ბერიასადმი 1944 წელს მიწერილი კ. გამსახურდიას წერილის გარდა ინახება ბერიასავე ხელზე დაწერილი ს. ქავთარაძის (იგი იმხანად საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილე იყო) სარეკომენდაციო ბარათი და გ. ალექსანდროვის (ცეკას აგიტაცია პროპაგანდის განყოფილების გამგე) რეცენზია კ. გამსახურდიას რომანებზე (რეცენზიის ადრესატი — საკავშირო ცეკას მდივანი გ. მალენკოვი).

ს. ქავთარაძე თავის მოკლე ბარათში ბერიასადმი აღნიშნავს, რომ მიმართავს მას კ. გამსახურდიას თხოვნით და თავის მხრივ სთხოვს ზემოქმედება მოახდინოს სტალინური პრემიების მიმნიჭებელ კომიტეტზე საკითხის დადებითად გადასაწყვეტად. აქვე ს. ქავთარაძე მაღალ შეფასებას აძლევს ქართველი პროზაიკოსის შემოქმედებას.

ბერიას წაუკითხავს სარეკომენდაციო ბარათი, რაზეც მეტყველებს მისი ხელით დადებული რეზოლუცია:

«т. Маленкову Г. М. Прошу заинтересоваться. Л. Берия. 16/V. 44».

მალენკოვს, როგორც ჩანს, ალექსანდროვისთვის დაუვალებია რეცენზიის დაწერა. ეს უკანასკნელი კ. გამსახურდიას შემოქმედებას მაღალ შეფასებას აძლევს და უსამართლოდ მიიჩნევს სტალინური პრემიის კომიტეტის გადაწყვეტილებას მისთვის პრემიის მინიჭებაზე უარის გამო, (რეცენზიიდან ჩანს, რომ კომიტეტის 29 წევრიდან მხოლოდ ათი ყოფილა მომხრე). აქვე აღნიშნულია, რომ კ. გამსახურდიას რეკომენდაციას აძლევენ პ. შარია (იმხანად საქართველოს ცეკას მდივანი. უფრო ცნობილია, როგორც ბერიას უახლესი თანამდგომი) და სიმონ ჩიქოვანი (იმხანად საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარე).

რაც შეეხება კონსტანტინე გამსახურდიას მიერ ბერიასთვის მიწერილ ბარათს, იგი, როგორც ტექსტიდან ირკვევა, დაწერილია მოსკოვში 1944 წლის 14 მაისს, სასტუმრო „მოსკვას" 659-ე ნომერში.

ვიდრე მკითხველს გავაცნობდეთ რამდენიმე აბზაცს ამ ბარათიდან, უნდა ვთქვათ, რომ არავითარ სიამოვნებას არ გვანიჭებს მათი ციტირება. მათი გამომზეურების სურვილი არავის გაუჩნდებოდა, რომ ჩვენი გამოჩენილი მწერლის შვილსა და მასთან გამიჯნურებულ გაზეთს არ დაენერგათ ახლო წარსულში პოლიტიკურ მოწინააღმდეგეთა მაკომპრომეტირებელი ფაქტების ძებნის პრაქტიკა. ჩვენი ტრაგიკული წარსული ზ. გამსახურდიამ და მისმა მომხრეებმა (უწინარესად „იბერია-სპექტრმა") პოლიტიკური შანტაჟის იარაღად აქციეს. სარგებლობენ რა იმით, რომ მოპირისპირე მხარე უკიდურესი შემთხვევების გარდა არ კადრულობს საბჭოური ათწლეულების მანძილზე დაგროვილ სიბინძურეში ხელის ფათურს, ზ. გამსახურდია და „ზვიადისტები" სულ უფრო და უფრო აფართოებენ შანტაჟის მასშტაბს და საკმაო პოლიტიკურ კაპიტალსაც შოულობენ ამ გზით. პირდაპირ სიცოცხლე გაუმწარეს ადამიანებს. ამიტომ, ალბათ, საჭიროა ვაგრძნობინოთ მათ, რომ უახლოეს ისტორიაში ჩვენც ასე თუ ისე ჩახედულნი ვართ.

კონსტანტინე გამსახურდიას ბარათში ვკითხულობთ:

«Дорогой и многоуважаемый товарищ Лаврентий!

Никогда, ни один писатель или другой деятель культуры не создавал ничего значительного, если ему не помогал и не покровительствовал кто-либо из его современников — крупных политиков. Я писал Вам об этом в 1934 году, когда прислал свой роман о жизни Гете.

В самом деле, все, что я сумел с того времени сделать, создано мною благодаря Вашему покровительству. Я горжусь тем обстоятельством, что вся моя работа с 1932 года связана с Вашей великой биографией...

Если бы отклонение Комитетом по Сталинским премиям обоих моих романов было делом моего личного самолюбия, или делом материального характера, я бы Вас никогда не беспокоил; здесь бросается тень на величайшего героя грузинской истории...

Вы потому любимы всеми — большим и малым, как в Грузии, так и во всем Союзе, что всегда говорите и действуете правдиво.

Надеюсь, что Вы заинтересуетесь судьбой этих двух книг и вмешаетесь в это дело до того, как постановление комиссии жюри будет подписано товарищем СТАЛИНЫМ...

Вы все должны о нас знать, и хорошее и плохое, поэтому сообщу Вам еще следующее: я еще в январе собирался приехать в Москву по делам, связанным с изданием в Москве моих книг на русском языке, тем временем мои книги были представлены к премии **и я не выехал**, так как в случае присуждения мне премии, я дал бы повод моим врагам сказать: **поехал, побеспокоил, видимо, Лаврентия, и получил.** Вам должно быть известно, что у нас крупные литературные дела часто обделываются среди писателей устройством «угощений». Таких вещей я себе не позволял **и за это поплатился».** (ხაზი ყველგან ავტორისაა — თ. მ.).

დარწმუნებული ვარ, ამ სტრიქონების წაკითხვის შემდეგ კიდევ უფრო მეტი ადამიანი გაიზიარებს ე. შევარდნაძის შეგონებას, რომ არ ღირს წარსულის ქექვა...

„იბერია-სპექტრმა" სახელმწიფო მეთაურის ინტერვიუს გამოქვეყნების შემდეგ ზედიზედ ორ ნომერში აღნიშნა მის მიერ დაშვებული ფაქტობრივი შეცდომა. მერე გაზეთის გამოცემა დროებით შეწყდა. როცა განახლდა გაზეთის გამოცემა, დარწმუნებული ვარ, კიდევ არაერთგზის შეახსენებენ ე. შევარდნაძეს, რომ ლიტერატურის ისტორიის ერთი ფაქტი მისთვის უცნობი აღმოჩნდა. (სხვათა შორის, იგივე ფაქტზე სწორ ინფორმაციას ვერც კ. გამსახურდიას სპეციალისტი ს. სიგუა გვაწვდის, თუმცა ორივე დისერტაცია ამ მწერლის შემოქმედებაზე აქვს დაცული). მაგრამ „იბერია-სპექტრს" ჯერ არ უთქვამს და, ცხადია, არც არასოდეს იტყვის, რომ სახელმწიფოს მეთაურის მიერ გამოთქმული მოსაზრება სწორია არსობრივად და ამის სრული ილუსტრაციაა კონსტანტინე გამსახურდიას მიერ განვლილი ცხოვრების გზა; მის ბიოგრაფიაში შეიძლება აღმოვაჩინოთ ჩვენთვის არასასიამოვნო, გულგასატეხი დეტალები, მაგრამ ის მეორე პლანზე გადადის, დარჩა მხოლოდ მისი ინტელექტის, მისი შრომის დიდი ნაყოფი.

კონსტანტინე გამსახურდიას ბედი იყო რთული და ტრაგიკული, როგორც ის ეპოქა, რომელშიც მას ცხოვრება მოუხდა, მიუხედავად ამისა, მან მოიხადა ვალი სამშობლოს წინაშე.

წერილების ექო

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" სხვადასხვა ნომრებში გამოქვეყნებულ კრიტიკულ წერილებზე უპასუხებს საქართველოს კავშირგაბმულობის მინისტრის მოადგილე ვახტანგ სალიბეგაშვილი.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" 1992 წლის 27 ოქტომბრის ნომერში გამოქვეყნებულ კრიტიკულ წერილში სათაურით „რამდენიც კაცია, იმდენი აზრია" მოყვანილი ფაქტი კავშირგაბმულობის სამინისტრომ შეისწავლა და გამოირკვა, რომ ლაგოდეხის რაიონის სოფელ ნინიგორში გაზეთების დატარების საქმეში დროებითი შეფერხება გამოწვეული იყო საწვავის მწვავე კრიზისით, რომელსაც ადგილი აქვს არა მარტო ლაგოდეხის რაიონში, არამედ მთლიანად რესპუბლიკაში.

როგორც კავშირგაბმულობის ლაგოდეხის რაიონის საწარმოო სამმართველო გვაცნობებს, ამჟამად გაზეთების დატარების მდგომარეობა რაიონში გაუმჯობესებულია.

• • •

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" 7 ნოემბრის ნომერში გამოქვეყნებული წერილი სათაურით „პასუხისმგებლობის დეფიციტი" კავშირგაბმულობის სამინისტრომ განიხილა. ამის შედეგად გაცნობებთ, რომ წერილში მოყვანილი ფაქტი ობიექტურად არის გაშუქებული. სინამდვილეში, საწვავის დეფიციტის გამო გაზეთები თბილისიდან რესპუბლიკის ზოგიერთ რაიონში და იქიდან სოფლებში იგზავნება დიდი დაგვიანებით (კვირაში 1-2-ჯერ).

თბილისში გაზეთების ჩაბარება ხელისმომწერებზე ხდება იმავე დღეს, გარდა ცალკეული შემთხვევებისა.

კავშირგაბმულობის სამინისტრო იღებს ზომებს გაზეთების დროული მიწოდებისათვის.

• • •

თქვენი გაზეთის 18 ნოემბრის ნომერში დაბეჭდილ წერილში „ერთი კვირა უგაზეთოდ" მოყვანილ ფაქტებზე გაცნობებთ, რომ 12 ნოემბრიდან ერთი კვირის განმავლობაში თბილისიდან გორში მართლაც არ იგზავნებოდა გაზეთები. ეს გამოწვეული იყო დაუდგენელი პირების მიერ გორზე მიმაგრებული ავტომანქანის გატაცებითა და საწვავის დეფიციტით. ამჟამად სამინისტრომ გორში გაზეთების გადასაზიდად გამონახა შემცვლელი ავტომანქანა.

მოვლენის კვალდაკვალ

ანდრეი კოზირევის „შოკური პარადოქსები"

ლაზარე ზაქარიაძე

რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის ორი, ერთმანეთისგან დიამეტრულად განსხვავებულ გამოსვლას ევროთათბირის პლენარულ სხდომებზე, (14/XII 92 წ.), თავისუფლად შეიძლება ეწოდოს „შოკური პარადოქსების" ბრწყინვალე ნიმუში. ვცადოთ და დინჯად, დარბაისლურად მოვიხილოთ საგარეო საქმეთა მინისტრის ეს ორი გამოსვლა, განვაზოგადოთ და ჩვენთვის საჭირო დასკვნები გამოვიტანოთ.

რა შეიძლება ითქვას პირველ გამოსვლაზე? „კბილთა ღრჭიალი" რუსეთის იმპერიის საგარეო ენა გახლდათ ათწლეულების მანძილზე. მაგრამ შეიცვალა მსოფლიო პოლიტიკური კონტექსტი, ამდენად, ასეთი „კბილთა ღრჭიალი" დღეს უკვე რეალობისგან შორს დგას და სრულ ანაქრონიზმად ჟღერს. ანდრია კოზირევმა თავის პირველ გამოსვლაში რუსეთის საშინაო და საგარეო პოლიტიკური კურსის ას ოთხმოცი გრადუსით შემობრუნება გამოაცხადა, და არა მარტო ყოფილ საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე მდებარე სახელმწიფოებს, არამედ მთელ მსოფლიოს პოსტკომუნისტური, პოსტიმპერიული რეჟიმით დაემუქრა. ყველაზე საინტერესო ის არის, რომ განცხადებები დიპლომატიური ეთიკის ყოველგვარ ფარგლებს სცილდება და აშკარად ძალისმიერ ხასიათს იღებს. (ეს ნიუანსი საინტერესოა იმდენად, რამდენადაც ასეთი შტრიხი ვერ ეთავსდება ანდრია კოზირევს, როგორც პიროვნების ხასიათს). ასე თუ ისე, ეს იყო თავისებური გაელვება წარსულისა, თავისებური ნოსტალგია იმპერიული ტახტისა.

ამ გამოსვლას სულ რამდენიმე საათში იმავე პლენარულ სხდომაზე მეორე გამოსვლა მოჰყვა, რომელიც არანაკლებ პარადოქსულია და არანაკლებ სენსაციური, ვიდრე პირველი. საგარეო საქმეთა მინისტრმა თავის პირველ გამოსვლას, არც მეტი და არც ნაკლები, „ორატორული ხერხი" უწოდა, რომელიც, მისი თქმით, სხვა არაფერია, თუ არა „აკურატული კომპილაცია" არცთუ მთლად უკიდურესი ოპოზიციის მოთხოვნებისა რუსეთში, და ამით ფაქტობრივად თავისი სიტყვები უკან წაიღო.

რა იყო ეს? ტრიუკი? „ორატორული ხერხი"? თუ „ძალების მოსინჯვა" ახალი სიბრტყისკენ? ყველა შემთხვევაში, ეს იყო თავისებური პრეზენტაცია რუსეთის პოლიტიკის შიგა ანატომიისა, რომელიც დღიდან დღემდე, ძალზედ საშიშ სახეს ღებულობს და რეალურ საფრთხეს უქმნის მთელ მსოფლიოს. რუსეთი შორს დგას პოლიტიკური სტაბილურობისგან, რაზეც ნათლად მეტყველებს ელცინისა და მისი გუნდის მიერ პოზიციების დათმობა რეაქციული ფრთის სასარგებლოდ. მეორდება გორბაჩოვის ამბავი, ფაქტობრივად, კულუარული ბრძოლის ასპარეზზე მოხდა ფსიქოლოგიური გარდატეხა. სწორედ ეს დააფიქსირა ანდრია კოზირევმა. რა თქმა უნდა, ფორმა ძალზე პარადოქსული იყო (რუსული პოლიტიკისთვის ისტორიულად დამახასიათებელია პარადოქსული აზროვნება). არ შეიძლება ოფიციალურ დონეზე ასეთი მაღალი რანგის სახელმწიფო მოხელემ ერთსა და იმავე დღეს ორი ურთიერთსაწინააღმდეგო და ურთიერთგამომრიცხავი მოსაზრება გამოთქვას, მით უმეტეს, რომ ერთ-ერთი ამ მოსაზრებათაგანი მსოფლიო პოლიტიკურ სცენას ატორტმანებს. რა თქმა უნდა, „მოთხოვნების" ეს „კომპილაცია" ასეთი ფორმით არ უნდა თქმულიყო და ვერც „ორატორულ ხერხად" ჩაითვლება. ასეთი „ხერხი" სცილდება სახელმწიფოებრივი და დიპლომატიური ეთიკის ყოველგვარ ფარგლებს და „საშინელების ფილმის" ფრაგმენტს უფრო ჰგავს, ვიდრე მაღალი რანგის სახელმწიფო მოხელის სახელმწიფო დონეზე გამოსვლას — ასეა თუ ისე, კოზირევმა მსოფლიოს აუწყა: ურჩხული ჯერ მკვდარი არ არის. რუსეთი იმ ჩამქრალ ვულკანს ჰგავს, რომელმაც ყოველ წამს შეიძლება გამოიღვიძოს. ძნელი წარმოსადგენი არ არის, თუ რაოდენ ძლიერი იქნებოდა შეშფოთება მსოფლიო პოლიტიკური წრეებისა და რაოდენ ძნელი იქნებოდა საათები კოზირევის პირველი გამოსვლიდან მეორემდე.

გამოვიტანოთ საჭირო დასკვნები 14 დეკემბრის „შოკური პარადოქსებიდან", რომლებიც რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ანდრია კოზირევმა შემოგვთავაზა.

ჩვენი ინტერვიუ

ქართული თემატიკა

ქართველოლოგია, როგორც საერთაშორისო მეცნიერების ერთი მიმართულება, ფაქტობრივად ჩვენს თვალწინ იკრებს ძალას. 70-იანი წლებიდან მოყოლებული, დღემდე იტალიასა და საქართველოში ჩატარდა ქართული ხელოვნების ექვსი სიმპოზიუმი, 1987 და 1988 წლებში თბილისში მოეწყო ქართველოლოგიის პირველი და მეორე სიმპოზიუმები, 1991 წლის ივლის-აგვისტოში საქართველოში გაიმართა პირველი საზაფხულო ქართველოლოგიური სკოლა-სემინარი.

სანამ ქართველოლოგია თავს დაიმკვიდრებდა, შუასაუკუნეების ქართული კულტურისა და ისტორიის კვლევა საერთაშორისო დონეზე ორ ტრადიციულ მეცნიერულ მიმართულებას — ორიენტალისტიკასა და ბიზანტინისტიკას უკავშირდებოდა. ეს გარემოებაც სავსებით ბუნებრივია. საქმე ისაა, რომ საქართველო თავისი გეოგრაფიული მდებარეობით და კულტურული ორიენტაციით ყოველთვის იყო ორი დიდი სამყაროს — აღმოსავლეთისა და დასავლეთის მიჯნაზე, თავის თავში მოიცავდა და აერთიანებდა აღმოსავლურსა და დასავლურ ელემენტებს. აღმოსავლური ფილოსოფია შუასაუკუნეების საქართველოსათვის ახლობელი იყო. იგი საქართველოსაკენ გზას იკაფავდა სპარსეთის, არაბეთისა და, მოგვიანებით, თურქეთის მეშვეობით. ქართველთა სულიერ სწრაფვას დასავლეთისაკენ კი აძლიერებდა ბიზანტიის დიდი იმპერია, რომელიც თავის საზღვრებში საუკუნეების განმავლობაში დასავლეთ საქართველოსაც მოითვლიდა, ხოლო თავის რელიგიურ ორბიტაში დასავლეთთან ერთად აღმოსავლეთ საქართველოსაც აერთიანებდა.

ორიენტალისტიკა და ბიზანტინისტიკა დღესაც ძირითადი მიმართულებებია, რომლებითაც ქართველოლოგია საერთაშორისო მეცნიერული ინტერესების სფეროში შედის. ამასთან ერთად, 80-იანი წლების დასასრულიდან შესაძლებელი გახდა შუასაუკუნეების ქართული თეოლოგიურ-ფილოსოფიური მემკვიდრეობის პრობლემატიკა მიქცეულიყო შუასაუკუნეების ფილოსოფიის მკვლევართა საერთაშორისო საზოგადოების ინტერესის სფეროში.

შუასაუკუნეების ფილოსოფიის მკვლევართა საერთაშორისო საზოგადოება დაახლოებით 40 წელია, რაც თავის არსებობას ითვლის, მასში გაერთიანებულია 40 ქვეყნის 475 წამყვანი წევრი. სხვათა შორის, 1987 წლამდე ამ საზოგადოებაში მაშინდელი საბჭოთა კავშირიდან არც ერთი წარმომადგენელი არ ირიცხებოდა.

ბატონი ელგუჯა ხინთიბიძე ამ საზოგადოების წევრად 1987 წელს მიიღეს, შუასაუკუნეების ფილოსოფიის მერვე საერთაშორისო კონგრესზე. წელს მან მეორედ მიიღო მონაწილეობა რიგით მეცხრე კონგრესის მუშაობაში.

ჩვენი კორესპონდენტი ოტავიდან დაბრუნებულ პროფესორ ელგუჯა ხინთიბიძეს და ინტერვიუ ჩამოართვა მას.

— უპირველეს ყოვლისა, გთხოვთ, გაგვაცნოთ ამ საზოგადოების ამოცანები, მისი კვლევის სფერო.

— ეს გახლავთ: შუასაუკუნეების ფილოსოფიურ-თეოლოგიური ლიტერატურის კრიტიკული გამოცემები; „ლათინური არისტოტელე" და არისტოტელეს შუასაუკუნეების კომენტარები; ისლამური ფილოსოფია და მეცნიერება; მეცნიერების ისტორია და შუასაუკუნეების ფილოსოფია; შედარებითი ფილოსოფია; აღმოსავლეთი და დასავლეთი; ტრივიუმი (გრამატიკა, რიტორიკა, დიალექტიკა); მათემატიკური ლინგვისტიკა და შუასაუკუნეების ტექსტების შესწავლა; ებრაული ფილოსოფია; ბიზანტიური ფილოსოფია; ყველა ზემოთ დასახელებულ სფეროში შექმნილია მეცნიერული კომისიები, რომლებიც სისტემატურ საინფორმაციო მუშაობას აწარმოებენ. გამოდის ყოველწლიური ჟურნალი „შუასაუკუნეების ფილოსოფიის ბიულეტენის" სახელწოდებით.

მედიევისტთა მეცხრე საერთაშორისო კონგრესზე

— რა წვლილი შეგაქვთ თქვენ, ქართველ მეცნიერს ამ საზოგადოების მუშაობაში?

— მე, საკუთარი კვლევა-ძიების პრობლემატიკიდან გამომდინარე, შევეცადე საზოგადოების ინტერესების სფეროში მომექცია ქართული შუასაუკუნეების თემატიკა. კერძოდ, მერვე კონგრესზე ჩემი მოხსენების თემა იყო „შუასაუკუნეების მეცნიერების ელემენტები რუსთველის პოემაში". მისი სრული ტექსტი გამოქვეყნდა კონგრესის მასალების სამტომეულში. წლევანდელ კონგრესზეც (მისი საერთო პრობლემა იყო მორალური და პოლიტიკური ფილოსოფია შუასაუკუნეებში) ჩემი მოხსენების თემა კვლავ „ვეფხისტყაოსანს" უკავშირდებოდა — „არისტოტელური ტრადიცია რუსთველის ეთიკურ კონცეფციაში". სექციური მუშაობა კონგრესზე, ფაქტობრივად, ჩემი გამოსვლით გაიხსნა, ვინაიდან ის პირველ სექციაში, პირველსავე დღეს, პირველ მოხსენებად დაიგეგმა.

— როგორ შეხვდნენ, დაინტერესდნენ უცხოელი მეცნიერები რუსთველის თემატიკით?

— ეს ინტერესი თვალნათლივი გახლდათ. ბევრი შეკითხვა მომეცეს და ეს შეკითხვები „ვეფხისტყაოსნის" ირგვლივ ცილდებოდა ეთიკის სფეროს და ეხებოდა საზოგადოდ რუსთველს, ქართულ შუასაუკუნეებს და ქართული აზროვნების მიმართებას ანტიკურ და ბიზანტიურ სამყაროსთან. მოხსენებაში ჩამოყალიბებული დებულებებიდან განსაკუთრებით საინტერესო, კონგრესზე შეკრებილი მედიევისტებისთვის აღმოჩნდა ის გარემოება, რომ რუსთველი იცნობს და იმყარება არისტოტელეს მთავარ ეთიკურ თხზულებაში „ნიკომაქეს ეთიკაში" გამოთქმულ რამდენიმე პრინციპულ მოსაზრებას. საქმე ის არის, რომ არისტოტელეს „ნიკომაქეს ეთიკა" დიდი პოპულარობით სარგებლობდა გვიანდელი შუასაუკუნეების ევროპულ ინტელექტუალურ წრეებში. საკმარისია, აღინიშნოს, რომ ამ ნაწარმოებმა უდიდესი გავლენა მოახდინა დანტე ალიგიერის აზროვნებაზე. მაგრამ, არისტოტელეს ეთიკის პოპულარობა ევროპაში იწყება XIII საუკუნის მე-2 ნახევრიდან. ამიტომაც, ევროპელ მკვლევართათვის, ძნელი წარმოსადგენია, როგორ შეეძლო ქართულ აზროვნებას და კერძოდ რუსთველს, გაესწრო ამ პროცესისათვის. როდესაც ჩვენ იმ გზებს ვიძიებდით, რომლითაც რუსთველს შეეძლო, მისულიყო არისტოტელეს ეთიკურ ნააზრევთან, სამ შესაძლებლობას ვუშვებდით: არაბული ფილოსოფიის მეშვეობით, ბიზანტიური სქოლასტიკის გზით და უშუალოდ ანტიკურ ფილოსოფიურ მემკვიდრეობაზე დაყრდნობით. ჩვენი ვარაუდი უფრო სარწმუნო გახდა იმ უახლესი სამეცნიერო ლიტერატურის გაცნობით, რომელიც იყო გამოფენილი და კონგრესის მონაწილეთათვის ხელმისაწვდომი ოტავის უნივერსიტეტში. კერძოდ, 1991 წელს ბელგიაში ლუვენის უნივერსიტეტის გამომცემლობამ გამოსცა სამი ტომი „ბერძნული კომენტარებისა „ნიკომაქეს ეთიკაზე" ლინკოლნის ეპისკოპოსის რობერტ გროსეტესტის (გარდ. 1253 წ.) ლათინური თარგმანით". ტექსტის გამომცემლის ჰ. პაულ ფ. მერკინის გამოკვლევით, ბერძნული კრებული არისტოტელეს „ნიკომაქეს ეთიკის" კომენტარებისა, შედგენილი იყო კონსტანტინოპოლში XII საუკუნის I ნახევარში, ხოლო ამ კრებულში წარმოდგენილი ერთ-ერთი ბიზანტიელი კომენტატორი „ნიკომაქეს ეთიკისა" არის XI საუკუნის II ნახევრის მოღვაწე. ასე რომ, არისტოტელეს ეთიკურ თხზულებათა კომენტარები ბიზანტიურ სქოლასტიკაში პოპულარულია სწორედ იმ პერიოდში, როდესაც ქართველი მოაზროვნეები ყველაზე მჭიდროდ არიან დაკავშირებული კონსტანტინოპოლის ფილოსოფიურ წრეებთან. ამ უახლესი მეცნიერული გამოკვლევების მოშველიებით, მე შევძელი, დამერწმუნებინა შუასაუკუნეების ფილოსოფიის მკვლევარნი იმაში, რომ, რუსთველი და მასთან ერთად XII საუკუნის სხვა ქართველი მოღვაწეებიც უფრო ადრე ეცნობოდნენ არისტოტელეს ეთიკას, ვიდრე გვიანდელი შუასაუკუნეების ლათინური სქოლასტიკის ცნობილი წარმომადგენლები.

XII საუკუნის საქართველოში თეოლოგიურ-ფილოსოფიური და ლიტერატურული აზროვნების განვითარება მიმდინარეობდა იმ მიმართულებით, რა გზითაც განვითარდა ქრისტიანული აზროვნება, ცოტა უფრო მოგვიანებით, ევროპულ სინამდვილეში.

ცხინვალის რეგიონში მდგომარეობის სტაბილიზაციისათვის

ცხინვალის რეგიონის ეკონომიკის აღდგენისა და მოსახლეობის სოციალური დაცვის ღონისძიებების საკითხების განხილვას მიეძღვნა 12 დეკემბერს გამართული სამთავრობო კომისიის სხდომა, რომელსაც რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი თენგიზ სიგუა თავმჯდომარეობდა.

მდგომარეობა ამ რეგიონში კვლავ უმძიმესია. რესპუბლიკის მთავრობის ღონისძიებები აქაური პოლიტიკური სიტუაციის გამო, ნაკლებეფექტიანია, მდგომარეობას ართულებს რესპუბლიკური უწყებების ადგილობრივი სტრუქტურების ფაქტობრივად არარსებობა. სეპარატისტულად განწყობილი ძალების წინააღმდეგობის გამო, ვერ ამოქმედდა ეროვნული ბანკის ადგილობრივი დანაყოფები. სწორედ ამ მიზეზით, ვერ მიაღწია დანიშნულებისამებრ, რესპუბლიკის მთავრობის მიერ გამოყოფილმა თანხამ 500 მილიონი მანეთის ოდენობით.

მიწისძვრამ, შეიარაღებულმა კონფლიქტმა უდიდესი ზარალი მიაყენა რეგიონს — 467 სოფელსა და დასახლებულ პუნქტში აღსადგენია ათასობით საცხოვრებელი სახლი და სხვა ნაგებობანი, კომუნიკაციის საშუალებანი. ამ შედეგების სალიკვიდაციოდ, ათმილიარდობით სამუშაოებია ჩასატარებელი. მაგრამ ამ ფართომასშტაბიანი პროგრამის განხორციელება ზემოთქმული მიზეზების გამო, ბრკოლდება.

დაისახა კონკრეტული ღონისძიებები საპროექტო-საძიებო სამუშაოების, მოსახლეობის სოციალური დაცვის ფინანსური უზრუნველყოფის მიზნით, რისთვისაც შესაბამისი დავალებები, მისცეს ეკონომიკის, ფინანსთა, სოციალური უზრუნველყოფის, შრომისა და დასაქმების სამინისტროების, ეროვნული ბანკის ხელმძღვანელობას.

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო მინისტრს ცხინვალის რეგიონში, ომარ ელოშვილს და საქართველოს რესპუბლიკის ადამიანის უფლებათა დაცვისა და ეროვნებათაშორისო ურთიერთობების კომიტეტის თავმჯდომარეს ალექსანდრე კავსაძეს დაევალათ წარმოადგინონ საპროექტო წინადადებანი სამთავრობათაშორისო შეთანხმების უმოკლეს ვადაში დადების უზრუნველსაყოფად.

ლტოლვილთა და განსახლების კომიტეტს (ვალერიან ვაშაკიძე) საქართველოს რესპუბლიკის სოციალური უზრუნველყოფის, შრომისა და დასაქმების სამინისტროსთან (ვაჟა გუჯაბიძე) ერთად დაევალა ცხინვალის რეგიონიდან ლტოლვილთა და იძულებით გადასახლებული პირების სიების დაზუსტება მათი გეგმაზომიერი და ორგანიზებული დაბრუნების უზრუნველსაყოფად.

რესპუბლიკის სამინისტროებსა და უწყებებს მიეთითათ, ყველაფერი იღონონ, ცხინვალის რეგიონში განლაგებული თავიანთი სტრუქტურული ქვედანაყოფების მუშაობის აღსადგენად.

კომერცია და ქველმოქმედება

გორის კომერციული პედაგოგიური ინსტიტუტი (რექტორი — ანზორ კაპანაძე) ბევრი საქველმოქმედო საქმის თაოსანია. ინსტიტუტში უფასოდ სწავლობს უდედმამო თუ ხელმოკლე ოჯახის შვილი 14 ახალგაზრდა.

გორის საავადმყოფოში ჩამოიყვანეს ოჩამჩირეში დაჭრილი კომერციული ინსტიტუტის პირველი კურსის სტუდენტი გოჩა ნადირაძე, რექტორის ბრძანებით გოჩა განთავისუფლებულია ინსტიტუტის სწავლის ქირისგან.

ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებლებმა გადაწყვიტეს რესპუბლიკის თავდაცვის ფონდში შეიტანონ იანვრის თვის ხელფასი — 100 ათასი მანეთი.

გურამ ვაშაკიძე.

კეთილშობილური აქცია

დიდი მადლიერებით მიიღეს დღეს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ეროვნული გვარდიის მთავარი სამმართველოს გვარდიელებმა 500 კილოგრამი საუკეთესო ხარისხის რძის ფხვნილი, რომელიც მათ უსასყიდლოდ გადასცა სამხედრო ვაჭრობის ლილოს სავაჭრო ბაზის უფროსმა გიორგი შევარდნაძემ.

თბილისის მართვის ინსტიტუტი

აცხადებს აბიტურიენტთა მიღებას 1993 სასწავლო წლისათვის დღისა და საღამოს სწავლების შემდეგ სპეციალობებზე:

1. სამართალმცოდნეობა — 20 ადგილი (იურიდიული ფაკულტეტი);
2. საბაჟო საქმე (საბაჟო საქმიანობის ეკონომიკა და მართვა — 20 ადგილი (ეკონომიკის ფაკულტეტი);

ინსტიტუტში მიიღებიან საშუალო და საშუალო სპეციალური განათლების მოქალაქენი ასაკის მიუხედავად. სწავლა ფასიანია. სწავლის ხანგრძლივობა 4 წელია. ინსტიტუტის კურსდამთავრებულს მიენიჭება შესაბამისი (ეკონომისტის, იურისტის) კვალიფიკაცია და მიეცემა უმაღლესი განათლების დიპლომი.

უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელებმა განცხადებას უნდა დაურთონ:
1. საშუალო განათლების დოკუმენტის დედანი (დანართთან ერთად); 2. სამედიცინო ცნობა (ფორმა № 086); 3. ოთხი ფოტოსურათი (ზომით 3X4);
პასპორტს და სამხედრო მოწმობას აბიტურიენტი წარმოადგენს პირადად.
საორგანიზაციო ხარჯებისთვის აბიტურიენტი იხდის 250 მანეთს.

საბუთების მიღება იწარმოებს 1992 წლის 12 დეკემბრიდან 1993 წლის 5 იანვრამდე ყოველდღე (გარდა კვირა-ორშაბათისა) 14-საათიდან 16 საათამდე.
აბიტურიენტები ინსტიტუტში ჩაირიცხებიან გასაუბრების წესით.

დაწვრილებითი ცნობების მიღება ინსტიტუტში:
ქ. თბილისი, ნუცუბიძის ფერდობი, III მიკრორაიონი, III კვარტალი, 171-ე სკოლის შენობა, III სართული.
ტელეფონები: 38-74-82, 34-95-17; მიმღები კომისია.

ამ ტრიალ ქვეყანაზე

ახალი პრემიერის განცხადება

„მე იმ დროის წარმომადგენელი ვარ, რომელშიც ვცხოვრობთ. იმ მთავრობას დავუჭერ მხარს, რომელიც ქვეყანას კრიზისიდან გამოიყვანს", — განაცხადა რუსეთის მთავრობის ახალმა მეთაურმა ვიქტორ ჩერნომირდინმა, როცა ამ პოსტზე დაამტკიცა სახალხო დეპუტატთა ყრილობამ.

„მინდა გითხრათ, რომ მხარს ვუჭერ რეფორმას, — თქვა მან, — რეფორმის გაღრმავებას, მაგრამ ისე, რომ, ჩვენი ხალხი არ გაღატაკდეს".

„მე იმ მთავრობის მომხრე ვარ, რომელიც შეძლებს ამის გაკეთებას ხალხთან ერთად, პრეზიდენტთან, ყრილობასთან ერთად".

იწყება სხდომების სერია

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა ასამბლეამ 1993 წელი მსოფლიოს მკვიდრი ხალხების საერთაშორისო წლად გამოაცხადა, ამ გადაწყვეტილებას შეიცავს რეზოლუცია, რომელიც, ორშაბათს ასამბლეის 47-ე სესიის პლენარულ სხდომაზე მიიღეს კონსენსუსით, კენჭისუყრელად. „მკვიდრი ხალხი — ახალი პარტნიორობა" — ასე ეწოდება წლის თემას.

ამ საკითხზე სხდომების სერიაში მონაწილეობისთვის გაეროს შტაბ-ბინაში ჩამოვიდნენ სხვადასხვა ქვეყნის მკვიდრი ხალხებისა და ეთნიკური ჯგუფების მრავალრიცხოვანი წარმომადგენლები.

რუსეთ-ესტონეთის მოლაპარაკება

ტალინში დაიწყო რუსეთისა და ესტონეთის დელეგაციების მოლაპარაკების მორიგი რაუნდი. ეს დელეგაციების პირველი შეხვედრაა მას შემდეგ, რაც სექტემბერში გამართულ პარლამენტის არჩევნებში გაიმარჯვა „ისამაა" („მამული") ეროვნულ-რადიკალურმა ბლოკმა. ესტონეთის მხარე ვარაუდობს, რომ მოლაპარაკება ორ დღეს გასტანს და ძირითადად შეეხება რესპუბლიკიდან რუსეთის ჯარების გაყვანის პრობლემებს.

მოსკოველი კორესპონდენტი გვატყობინებს

პრესკონფერენცია, რომელმაც შეცვალა აზრი

არაერთხელ თქმულა, რომ მოსკოვში გამართული პრესკონფერენციები ხშირად ვერ აკმაყოფილებს დღევანდელი პოლიტიკური სიტუაციით ნაკარნახევ მოთხოვნებს, ასე იყო, როცა შიდა ქართლის საკითხებზე ვიწვევდით ჟურნალისტებს. ასეა ახლაც, როცა აფხაზეთის ომზე ვლაპარაკობთ. ამიტომაც ჩვენი სუსტი ინფორმაციები არც რუსეთის და არც უცხოეთის სააგენტოებისთვის მსჯელობის საგნად არ იქცევა ხოლმე. თუმცა არის გამონაკლისიც. ასეთი გახლდათ საქართველოს სახელმწიფო მინისტრის გიორგი ხაინდრავას პრესკონფერენცია, რომელიც საქართველოს მუდმივ წარმომადგენლობაში გაიმართა. მართალია, იგი ფრიად უხერხულ დროს — რუსეთის სახალხო დეპუტატთა ყრილობის ყველაზე ცხარე დღეს დაემთხვა და უცხოელ ჟურნალისტთა უმრავლესობა ვერ დაესწრო, მაგრამ მაინც დიდი რეზონანსი ჰქონდა.

აუდიტორიის წინაშე წარსდგა ახალგაზრდა კაცი, ჩვენი კოლეგა, რომელმაც დინჯად, გასაგებად, დამაჯერებლად, ფაქტებითა და საბუთებით, დახვეწილი რუსულით გვიამბო აფხაზეთის კონფლიქტის გამომწვევი ძალების და ამ კონფლიქტის ომში გადაზრდის ძირითად მიზეზების თაობაზე.

მან თამამად დაარქვა საგნებს თავისი სახელი და გამოკვეთა, რომ ამ ომში შეიძლება ამოწყდეს აფხაზი ერი. ამ ტრაგედიისთვის პასუხისმგებლობა რუსეთის იმ წრეებს დაეკისრებათ, რომლებიც ახლა აფხაზ ექსტრემისტებს სამხედრო ტექნიკითა და ცოცხალი ძალით ამარაგებენო.

საუბარი მიმდინარეობდა არა ნიშნისმოგების ტონით, როგორც ეს ხშირად შეიმჩნევა, არამედ გულისტკივილით, პრესკონფერენციის დამთავრების შემდეგ გაზეთ „დი-ცაიტის" კორესპონდენტმა მოსკოვში კრისტიან შმიდტ-ხოიერმა მითხრა: როგორც იქნა, მოვისმინეთ სიმართლე. ხაინდრავა ისე დამაჯერებლად ლაპარაკობდა, მეგონა, ფრონტის წინა ხაზზე მეც ვიბრძოდი-მეთქი. ბოლოს და ბოლოს გავიგეთ ვინ ტყუის და ვინ მართალიაო.

რუსეთის ყრილობის პრესცენტრშიც გაისმა გიორგი ხაინდრავას ხმა — იმათ, ვინც ვერ შეძლო დასწრებოდა პრესკონფერენციას, მაგნიტოფირზე ჩაწერილი მინისტრის საუბარი ხმის გამაძლიერებლით მოვასმენინეთ. ამის შემდეგ ჟურნალისტთა ერთმა ჯგუფმა სტენდიდან ჩამოვხსენით აფხაზეთის ომის ამსახველი ფოტოები „ქართული ფაშიზმი", რომელიც 11 დეკემბერს სერგი ბაბურინმა ყრილობის დარბაზის პირდაპირ, თვალსაჩინო ადგილას ჩამოკიდა.

კლარა აბრაშია.

ამ დღეებში
გადმოგვცემენ „საქართველოს რესპუბლიკის" და საქინფორმის კორესპონდენტები
მოვლენა • ფაქტი • კომენტარი

გამოჯანმრთელდით, ბიჭებო!

თამარ ბარათაშვილი,
თავდაცვის სამინისტროს პრესსამსახურის კორესპონდენტი.

აფხაზეთის რეგიონში დაჭრილი ქართველი მეომრების მიმართ ჩვენი საზოგადოებრიობა გულისხმიერებასა და ყურადღებას იჩენს, ახლახან საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს სურსათ-სანოვაგის ცენტრალურმა სამსახურმა ამერიკიდან გამოგზავნილი ჰუმანური დახმარება გადასცა იმ საავადმყოფოებს, სადაც დაჭრილებს მკურნალობენ.

თბილისის პირველ კლინიკურ საავადმყოფოში მყოფ დაჭრილებს გადაეცათ სხვადასხვა პროდუქტი.

მთავარი ექიმის მოადგილემ ქირურგიის დარგში ვახტანგ ქკადუამ ჩვენთან საუბრისას აღნიშნა, რომ მედპერსონალი განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენს სამშობლოს დამცველი მეომრების მიმართ. ვცდილობთ მათ არაფერი მოვაკლოთ. დაჭრილების მდგომარეობა მეტნაკლებად მძიმეა. უმეტესობა გამოჯანმრთელების სტადიაშია.

თავს კარგად გრძნობენ თავდაცვის სამინისტროს 102-ე ბატალიონის მებრძოლი ზაზა ლვინაძე, რომელიც გაგრაში იბრძოდა და ფეხშია დაჭრილი; ორივე ფეხშია დაჭრილი თბილისელი მოხალისე, გლდანის საძმოს მებრძოლი ილია კლიმიაშვილი, რომელიც ტამიშთან ბრძოლისას დაიჭრა. აქ მკურნალობენ აგრეთვე გიორგი კობიაშვილს, თენგიზ ჩიხლაძეს, გელა სიმონიშვილს. გავესაუბრეთ ბიჭებს, თუ მათ სიტყვებს არ მოვიტანთ, მხოლოდ იმიტომ, რომ მათ არაფერი აქვთ სამადლობელი: მთელი საქართველოა ამ თავგანწირული მებრძოლების მადლიერი.

ორთოპედიისა და ტრავმატოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მთავარმა ექიმმა გიორგი ზემლიცკიმ მოგვითხრო დაჭრილთა მდგომარეობისა და მკურნალობის შესახებ.

— ჩვენთან მყოფი დაჭრილებიდან მძიმე მდგომარეობაში არც ერთი არ არის — გვითხრა ბატონმა გიორგიმ — ტრავმები კი მძიმეა. ძალზე ხშირია საყრდენ-მამოძრავებელი აპარატის დაზიანების შემთხვევები. უმრავლესობას ქირურგიული ჩარევა დასჭირდა. გაკეთდა რეკონსტრუქციული ოპერაციები კომპრესულ-დისტრაქციული აპარატის გამოყენებით. გვაკლია მედიკამენტები, მაგრამ დაჭრილებისთვის ყველაფერი გვაქვს, ყველა თავს დასტრიალებს ახალგაზრდა გმირებს და უმსუბუქებს მდგომარეობას: როგორც იტყვიან, სულზე მოგვისწრო მრავალდარგოვანი ფირმა „ტოროლას" ჰუმანიტარულმა დახმარებამ. ჩვენი ექიმების — თემურ სალდაძისა და მერაბ საყვარელიძის პირადი კონტაქტებისა და უშუალო დახმარების წყალობით ამ ფირმამ გადმოგვცა შვეიცარიიდან გამოგზავნილი შესახვევი მასალა და ანტიბიოტიკები. კვლევითი ცენტრიდან აფხაზეთის რეგიონში სხვადასხვა დროს იმყოფებოდნენ ცენტრის ექიმები, ტრავმატოლოგები — იური მელაძე, პავლე ბუჩუკური, მერაბ ვარძუკაშვილი, ამირან ჩხაიძე, ზაზა სურამელი, ალბერტ ესაიანი, კაკო ქურდაძე, რეანიმატოლოგი ვახტანგ წვერავა. შევქმენით ექსტრემალურ სიტუაციაში მოქმედი ბრიგადები. ისინი მზად არიან პირველი დაძახებისთანავე გაემგზავრონ წინა ხაზზე.

ექიმები ყურადღებას არ აკლებენ დაჭრილებს, ეს აღინიშნა კიდეც მათთან შეხვედრისას. უკვე გამოჯანმრთელების გზას ადგანან შავნაბადას ბატალიონის რიგითი მებრძოლები ლევან ბლუიშვილი, ოჩამჩირის III ბრიგადის II ბატალიონის მებრძოლი ომარ გიგლებიანი, სოხუმის III ბრიგადის II ბატალიონის ზემდეგი ბადრი ოვეჩკინი, თბილისელი მოხალისე, 103-ე ბატალიონის მებრძოლი გიორგი კობალაძე და სხვები. ყველას მძიმე ტრავმა აქვს. დრო, მოთმინება და ექიმების მზრუნველობა სჭირდებათ მეომრებს. მათ განაწამებ, მაგრამ იმედიან სახეებზე მტერზე გამარჯვების ჟინია აღბეჭდილი. უჭირთ ამ ბიჭებს — სტკივათ მტრის ტყვიით ნაგვემი სხეული, სტკივათ უსამართლო ომი, ზოგიერთი უწყების უსამართლობაც სტკივათ, მაგრამ კვლავ ბრძოლისაკენ მიუწევთ გული.

— ჰუმანური დახმარების ტვირთს შევიტანთ აგრეთვე საავიაციო ქარხნისა და რესპუბლიკურ კლინიკურ საავადმყოფოებში, — გვითხრა საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს სურსათ-სანოვაგის ცენტრალური სამსახურის წარმომადგენელმა ნუკრი ლუდუშაურმა, — პროდუქტების ნაწილს სოხუმის რეგიონში მებრძოლ ბიჭებსაც მივაწვდით. ამას წინათ საინფორმაციო პროგრამა „მაცნემ" გადმოსცა ქუთაისის ჩვილ ბავშვთა სახლში შექმნილი მძიმე მდგომარეობა, გადავწყვიტეთ, პატარებიც დავასაჩუქროთ. თავდაცვის სამინისტროს ქუთაისის ბრიგადის წევრები გადასცემენ ამ ტვირთს ქუთაისის ჩვილ ბავშვთა სახლს. აფხაზეთში დაჭრილები კი, რა თქმა უნდა, ჩვენი მუდმივი ყურადღების ცენტრში იქნებიან.

ეს ჩვენი საქართველოა!

აფხაზეთის ფრონტის გზებზე. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ასპარეზი ფართოა

კარგა ხანია ჰოლივუდში მრავალი კონკურსი იმართება. ერთ-ერთი მათგანია კინოსცენარისტთა კონკურსი. მისი დამფუძნებლები არიან კინომუშაკთა საერთაშორისო ასოციაცია, ამერიკაში ამერიკელი კინომოღვაწე და პროდიუსერი თედ ჰარტლი და მისი მეუღლე—ცნობილი კინომსახიობი დინა მერილი. ეს კონკურსი დიდად პოპულარულია მთელ მსოფლიოში. იგი ლოს-ანჯელესში იმართება წელიწადში ერთხელ სრულმეტრაჟიანი მხატვრული კინოსცენარებისათვის. და დამფუძნებლების პატივსაცემად „ჰარტლი მერრილ პრაიზი" უწოდეს.

და აი, ამერიკის შეერთებული შტატები კინოსცენარისტებს მეოთხედ ეპატიჟება ქალაქ ლოს-ანჯელესში.

ჩვენთან საუბარში კონკურსის კოორდინატორმა საქართველოში, ცნობილმა სცენარისტმა პეტრე ხოტიანოვსკიმ განაცხადა:

ფრთები, ფრთები გვინდა!

— საქართველო, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო, ამ კონკურსზე პირველად წარსდგება. ამის მიღწევა არცთუ იოლი იყო. კარგა ხანია ამ საკითხზე ამერიკელებთან მოლაპარაკება მიმდინარეობდა. კონკურსში „თანამეგობრობის" ქვეყნებთან ერთად უნდა წარვმდგარიყავით, რაზეც უარი ვთქვით. ბოლოს, სექტემბერში, დამოუკიდებლად გვცნეს და ამერიკიდან კონკურსში დამოუკიდებლად მონაწილეობის ოფიციალური ფაქსიც მივიღეთ.

შესარჩევ კონკურსზე მხოლოდ შემდეგი ქვეყნები დაუშვეს—უნგრეთი, პოლონეთი, ჩეხეთი, სლოვაკეთი, საქართველო და რუსეთი, კონკურსის პირობები მაშინვე გაზეთებში „ეკრანსა" და „ქართულ ფილმში" გამოქვეყნდა. ვიმედოვნებთ, რომ ამ მნიშვნელოვან და პრესტიჟულ საქმეს ჩვენი კინოსცენარისტები კვლავინდებურად დიდი მონდომებითა და პასუხისმგებლობით მოეკიდებიან. თუმცა, დაველოდოთ შედეგებს.

„ჰარტლი მერრილ პრაიზის" მოსაპოვებლად ქართველ კინოსცენარისტებს ადრეც უცდიათ ბედი?

— დიახ... და კარგადაც წარმოვჩნდით. უწინ საბჭოთა კავშირში შემავალი ქვეყანა ვიყავით და შესარჩევი ტური სწორედ მოსკოვში იმართებოდა.

ეს იყო 1988-1989 წლები. მოსკოვის კონკურსზე წარდგენილი ექვსი ათასი კინოსცენარიდან ლოს-ანჯელესში გასაგზავნად მხოლოდ ხუთი სცენარი შეირჩა. უმაღლესი ჯილდო ამერიკაში „გრან-პრი" ქართველმა კინოსცენარისტმა და რეჟისორმა ირაკლი კვირიკაძემ დაიმსახურა და მას ჯილდოდ ათი ათასი დოლარი გადაეცა. მომდევნო, შემდგომ კონკურსში პრიზი ჩემი და ჩემი მეუღლის, დრამატურგ ინგა გარუჩავას ერთობლივ სცენარს „საგამოძიებო ექსპერტს" ხვდა წილად, ხოლო მესამე კონკურსში პრიზი ივანე ყიასაშვილის კინოსცენარმა მოიპოვა. ისე რომ, წინა კონკურსებში ქართველმა კინოსცენარისტებმა დამოუკიდებელი მოქმედებისადმი მისწრაფების საკმაოდ მკვიდრი საძირკველი ჩავყარეთ.

— მაგრამ კონკურსს ხომ დაფინანსება და ხელშეწყობა სჭირდება?

— რა თქმა უნდა. ამისთვისაც ვიზრუნეთ. კონკურსის წარმართვისათვის ქართველი სპონსორები „დემოკრატია და აღორძინება", ასოციაცია „მთები" და ფირმა „გეო-კონტრასტი" გვიწყობენ ხელს, საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირი და კონკურსის ორგანიზაციულ საკითხებში გვეხმარება. ჩვენმა სპონსორებმა აქ გამართული კონკურსისთვის სამი პრიზი დააწესეს. პირველი პრიზის მფლობელის სცენარი, ცხადია, ლოს-ანჯელესში გაიგზავნება, ხოლო მეორე-მესამე ადგილის პრიზიორები ოცდახუთ-ოცდახუთი ათასი მანეთით დაჯილდოვდებიან. ერთი მნიშვნელოვანი ამბავიც მინდა გაუწყოთ. სპონსორმა „დემოკრატია და აღორძინებამ" საგანგებო პრიზი დააწესა. მას ამერიკაში საერთაშორისო ჟიური კონკურსზე ერთ-ერთ კინოსცენარს მიაკუთვნებს. ეს სპეციალური პრიზი, კონკურსში გამარჯვებულ სცენარის ავტორს ბატონ ედუარდ შევარდნაძის ფონდის სახელით გადაეცემა. ძირითადად კი ლოს-ანჯელესის კონკურსზე ხუთი ქვეყნიდან წარდგენილი თითო კინოსცენარიდან პრიზირებული მხოლოდ სამი სცენარი იქნება. პირველი პრიზიორი „გრან-პრის" მფლობელი ათას ხუთასი დოლარითა და ამერიკის ქალაქებში ლოს-ანჯელესსა და სანდანში ორკვირიანი მოგზაურობით დაჯილდოვდება. მას საშუალება ექნება, სცენარის სტაჟირებისათვის რობერტ რედფორდის კინოინსტიტუტში, მსოფლიოში სახელგანთქმული კინორეჟისორების, სცენარისტებისა და პროდიუსერებისაგან მიიღოს კონსულტაციები. მეორე პრიზი ათას ხუთასი დოლარით განისაზღვრა, ხოლო მესამე — ხუთასი დოლარით. შედეგები გაისად, მაისში იქნება ცნობილი. საყურადღებოა ისიც, რომ პრიზის გადაცემის ცერემონიალი სწორედ „გრან-პრის" მფლობელის სამშობლოში უნდა მოეწყოს.

ასპარეზი ფართოა. ისღა დაგვრჩენია, უმაღლესი ჯილდოს მოსაპოვებლად ჰოლივუდის გზა დავულოცოთ ქართველ კინოსცენარისტებს.

ცისანა სიხარულიძე.

ჩვენი მთა-ბარის ამბები

„ბეკეკამ" საჩუქრები მიიღო

როგორც ცნობილია, სასტუმრო „ივერიაში" ჩვენი ბედუკუღმართობით უსახლკაროდ დარჩენილი არაერთი ოჯახი ცხოვრობს, რომელთა შორის არიან როგორც თბილისელი, ისევე ცხინვალიდან და აფხაზეთიდან ჩამოსული ბავშვები.

ამას წინათ, თვითონ აქ მცხოვრებმა ქალბატონმა ცირა ბერიძემ ამ ბავშვებისთვის დააარსა კლუბი „ბეკეკა". მალე მას გამოუჩნდნენ თანამოაზრეები. ბავშვებს ახლა შეუძლიათ ისწავლონ ინგლისური, მოუსმინონ ფსიქოლოგ დათო ზესაშვილს, იარონ ხატვის წრეზე, გაეცნონ ქალაქის ღირსშესანიშნაობებს, დაესწრონ საბავშვო სპექტაკლებს.

ქალბატონი ცირა საზოგადოება „თბილისელის" წევრია. იგი დაუკავშირდა ცნობილ გერმანელ ქველმოქმედს კოსტას პაპანასტასიოს, და ამ კლუბის ბავშვებისათვის გამოაყოფინა ჩამოტანილი ჰუმანური დახმარების ნაწილი.

ვეჯინს, ივანე ბერიტაშვილს რომ ეკადრება

იმ დღეს, გურჯაანის რაიონის სოფელ ვეჯინის ივანე ბერიტაშვილის სახელობის საშუალო სკოლის კოლექტივმა მეგობრობის ხელი გაუწოდა თბილისში მცხოვრებ გაგრელ ლტოლვილებს, კერძოდ, ხეივნის ქართული საშუალო სკოლის მასწავლებლებსა და მოსწავლეებს. გურჯაანელებმა მათ გადასცეს ექვსი ათასი მანეთი, ხილი და სურსათი, შემდეგ კი პატარა ლტოლვილებისათვის გამართეს ლიტერატურულ-მუსიკალური კომპოზიცია. ვეჯინის საშუალო სკოლის პედაგოგიურმა კოლექტივმა და მოსწავლეებმა მორალური და მატერიალური დახმარება გაუწიეს აგრეთვე აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ რამდენიმე ათეულ ოჯახს, რომლებიც გურჯაანის რაიონში კურორტ „ახტალაში" ცხოვრობენ. მათვე ლტოლვილთა დახმარების ფონდში გადარიცხეს 7 ათას მანეთზე მეტი, ეროვნული თავდაცვის ფონდში კი — 2 ათასი მანეთი. გარდა ამისა, ვეჯინის საშუალო სკოლამ კარი გაუღო აფხაზეთის სხვადასხვა რაიონებიდან ლტოლვილ რვა მოსწავლეს. მათ პედაგოგები, თანაკლასელები, სოფელი არაფერს აკლებს.

საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციაში

ჟურნალისტთა ფედერაციის ინიციატივით მოეწყო მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა წარმომადგენლების საპროტესტო აქცია აფხაზი ექსტრემისტებისა და მათი დაქირავებულების მიერ ოქტომბერში დატყვევებული, გაზეთ „აფხაზეთის ხმის" გაგრელი კორესპონდენტის, 78 წლის ალექსანდრე თოფურიას მხარდასაჭერად.

ამ ფაქტთან დაკავშირებით, გაკეთებული განცხადება გადაეცემა ჟურნალისტთა საერთაშორისო ფედერაციას.

—ხომ არ დაგავიწყდათ—
ჩვენი გაზეთის გამოწერა?
თუ გინდათ, რომ ცხოვრებას არ ჩამორჩეთ და ყველაფერი იცოდეთ, რაც დედამიწის ზურგზე ხდება, გამოიწერეთ ყველაზე იაფი ყოველდღიური ქართული გაზეთი
საქართველოს რესპუბლიკა
იჩქარეთ!
ხელმოწერის ვადა გაგრძელებულია 20 დეკემბრამდე
შეგახსენებთ, რომ მათ, ვისაც დამატებითი ხელმოწერის გამო გადახდილი აქვს 110 ან 88 მანეთი, ეს თანხა 1993 წლის ხელმოწერის ღირებულებაში ჩაეთვლებათ.

პრესის გავრცელების თბილისის საქალაქო სახელმწიფო საწარმო „მაცნე" თხოვნით მიმართავს ყველა საზოგადოებრივ და პოლიტიკური გაზეთის რედაქტორებს, დაუყოვნებლივ მობრძანდნენ „მაცნეს" დირექციაში მომდევნო თვეების გაზეთების ტირაჟებში ცვლილებების შეტანასთან და მომავალი 1993 წლის ხელშეკრულების გაფორმებასთან დაკავშირებით.

ჩვენი მისამართია: ქ. გამსახურდიას გამზ. 42, ტელ.: 87-18-88.

ცხონება

რამაზ ფანჯავიძე

დაბა შაუმიანის გზატკეცილზე ბანდიტური თავდასხმის შედეგად ტრაგიკულად დაიღუპა საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს განსაკუთრებული სამმართველოს პირველი ოპერატიული განყოფილების უფროსი ოპერრწმუნებული რამაზ ფანჯავიძე.

რამაზ ფანჯავიძე დაიბადა 1961 წლის 18 თებერვალს ქალაქ ბათუმში. 1982 წელს ჯარიდან დემობილიზების შემდეგ შევიდა მოსკოვის მილიციის უმაღლესი სკოლის თბილისის ფაკულტეტზე, რომელიც 1986 წელს დაამთავრა ლეიტენანტის წოდებით და იურისტ-სამართალმცოდნის სპეციალობით.

1991 წელს მუშაობა დაიწყო ეროვნული გვარდიის რიგებში. 1992 წლის 21 ოქტომბრიდან დაინიშნა თავდაცვის სამინისტროს განსაკუთრებულ სამმართველოში უფროსი ოპერრწმუნებულის თანამდებობაზე.

რამაზ ფანჯავიძე მუშაობას შეუდგა უდიდესი პასუხისმგებლობითა და ენერგიით, ბევრი რამ მოასწრო კიდეც განვლილი ორი თვის მანძილზე. სულ ერთი კვირის დაბრუნებული იყო სოხუმიდან, რომ მიიღო ახალი დავალება და სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულების დროს დაიღუპა ქართველისავე ხელით, რაც ყველაზე მეტად გულსატკენია ჩვენთვის.

შეწყდა კიდევ ერთი ქართველი მეომრის, ოფიცრის, ახალგაზრდა კაცის სიცოცხლე.

მშვიდობით, რამაზ!

საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს განსაკუთრებული სამმართველო.

საქართველოს რესპუბლიკის განათლების სამინისტრო ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ღვაწლმოსილი პედაგოგი, საქართველოს დამსახურებული მასწავლებელი, ქ. თბილისის 55-ე საშუალო სკოლის დირექტორი

ოთარ ლომიძე

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

წერილი რედაქციას

ნება გვიბოძეთ, თქვენი გაზეთის მეშვეობით უღრმესი მადლობა მოვახსენოთ ყველა კერძო პირს, კავშირსა თუ ორგანიზაციას, რომლებმაც გაიზიარეს ჩვენი მწუხარება სოფელ შრომასთან ბრძოლაში საქართველოს პარლამენტის წევრის ნუგზარ მიხანაშვილის დაღუპვის გამო და ყოველმხრივი თანადგომა გაუწიეს მის ოჯახს.

ნუგზარ მიხანაშვილის ოჯახი.

პრობლემა

გლობალური შიმშილის აჩრდილი

გაიზიარებს თუ არა საქართველო „ბანანის რესპუბლიკების" ბედს?

ზაურ მაქარაძე

ამჟამად, დედამიწაზე 790 მილიონი ადამიანი შიმშილობს. აფრიკის, ლათინური ამერიკის, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ბევრ ქვეყანაში სურსათის ნაკლებობამ კრიზისულ ზღვარს მიაღწია. თუ ამ ციფრს ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკების „დამშეულებსაც" დავუმატებთ, აღმოჩნდება, რომ მსოფლიო დიდი პრობლემის წინაშე დგას. უფსკრული იმდენად ახლოსაა, კრიზისი იმდენად თვალსაჩინოა, სასურსათო სიტუაციის გაუმჯობესების იმედები კი იმდენად მცირე, რომ ხვალ და ზეგ, შესაძლოა, დედამიწა გლობალურმა შიმშილობამ მოიცვას.

ამ ფონზე დამაფიქრებელია საქართველოს მდგომარეობა. შიმშილობის პირველი სიმპტომები უკვე გამოვლინდა. დრომ დაადასტურა, რომ ჩვენ ნაკლებად უნდა გვქონდეს ყბადაღებული „დასავლური დახმარების" იმედი. ახლა ყველას უჭირს. მერეც, გლობალური მსოფლიო დახმარების პირობებში დასავლეთი, უბრალოდ ვერ შეძლებს ყველა მოშიმშილის დაპურებას და შედარებითი სტაბილიზაციის შენარჩუნებას. სხვა მხრივ, დედამიწაზე შეინიშნება საშუალო გლობალური ტემპერატურის მომატება, ეგრეთ წოდებული დათბობის პროცესი, რომელსაც კატასტროფული შედეგები ექნება ეკოლოგიისა და სოფლის მეურნეობისათვის. მეოცე ასწლეულის ყველაზე ცხელი ხუთი წელიწადი, სწორედ ოთხმოციან წლებზე მოდის. პერმანენტულმა გვალვებმა დიდი ზარალი მიაყენა დასავლეთ ევროპისა და ამერიკის შეერთებული შტატების მარცვლეულის ნათესებს, შემცირდა საშუალო მოსავლიანობა, ცნობისათვის მოგახსენებთ, რომ ნორმალურ კლიმატურ პირობებში ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩვეულებრივ 300 მილიონ ტონა მარცვლეულს აწარმოებენ. აქედან, 200 მილიონ ტონას, თვითონ ამერიკელები მოიხმარენ, დანარჩენი კი ექსპორტში მიდის. თუმცა, როგორც მიმომხილველები იუწყებიან, ბოლო წლების გვალვების გამო, მოსავალი ძლიერ შემცირდა, ამიტომ ექსპორტი თითქმის მთლიანად მარაგის ხარჯზე ხორციელდებოდა.

ამდენად, ყველა ქვეყანას და, მათ შორის, საქართველოსაც, ეტყობა, ძირითადად დამოუკიდებლად მოუწევს ჩიხიდან გამოსვლა, თუმცა, ამისთვის დიდი ძალისხმევა დასჭირდება. ზოგიერთი თვლის, რომ ნორმალური პროგრესული ეკონომიკისა და პოლიტიკის პირობებში, საქართველო შეძლებს, თავისი თავის მარცვლეულით უზრუნველყოფას, მაგრამ ეს მართლაც ზოგიერთების აზრია, სპეციალისტები კი სულ სხვანაირად ფიქრობენ და მათი პროგნოზები დიდად დამაიმედებელი არ არის.

უდავოა, რომ საბჭოთა წყობილებამ სოფლის მეურნეობა შავ დღეში ჩააგდო. მოუქნელი, ბიუროკრატიული მართვა, არასრულფასოვანი სამეურნეო სისტემა, კიდევ ათასი ჯანაბა, აღმოჩნდა მიზეზთა მიზეზი იმ მძიმე შედეგებისა, რომელთაც ახლა ვიმკით. სათქმელია, რომ საბჭოთა კავშირს 70-იან წლებამდე, ძირითადად, ყამირი და ნასვენი მიწების ათვისების ხარჯზე, ჰყოფნიდა საკუთარი მარცვლეული. დღეს, საქართველო რა მოსატანია, თვით რუსეთიც ყაზახეთიდან აპირებს სამი მილიონი ტონა ხორბლის შესყიდვას.

სულ ახლახან, ამ ორიოდე წლის წინათ, მეორე-მესამეკლასელებს ასეთ ამოცანას აძლევდნენ: „თუ ჩვენი ქვეყნის პურის ყანების ყოველ კვადრატულ მეტრზე თითო თავთავს დავტოვებთ, მაშინ დანაკარგი 1.500000 ტონა მარცვალს შეადგენს. რამდენი სარკინიგზო მატარებელი იქნებოდა საჭირო, რომ ეს მარცვალი გადაგვეზიდა, თუ ცნობილია, რომ თითოეულ მატარებელში 50 ვაგონია და ყოველი ვაგონი 50 ტონა მარცვალს იტევს?".

ამ დაწყევლილი იმპერიის „პურის ყანებში" თითო თავთავი კი არა, მოსავლის ბარე 30 პროცენტი რჩებოდა. საერთო ქრონიკულმა უყაირათობამ და უგერგილობამ საქართველოშიც ძლიერ მოიკიდა ფეხი, თუმცა, ეს სულაც არ არის გადამწყვეტი მიზეზი ჩვენი რესპუბლიკის უმძიმესი სასურსათო მდგომარეობისა.

საქართველოს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის სამინისტროს მარცვლეული, ტექნიკური კულტურებისა და მიწათმოქმედების საერთო საკითხების სამმართველოს უფროსთან, ბატონ ზურაბ ცხოტიშვილთან საუბარმა ბევრ რამეზე ამიხილა თვალი და ჩვენი მარცვლეულის საკმაოდ არსახარბიელო პერსპექტივა დამანახა.

— ეყოფა თუ არა საქართველოს თავისი ხორბალი, სხვა მარცვლეული? — სანახევროდ შეიძლება ეყოს, მაგრამ მთლიანად არა, — კატეგორიულად მომიჭრა ბატონმა ზურაბმა და დამისაბუთა კიდეც.

სიტუაცია მეტად მძიმეა, მაგრამ სხვა გზა არ არის, სიმართლეს თვალი უნდა გავუსწოროთ: საქართველოს სახნავ-სათესი მიწის ფართობი სულ 790 ათას ჰექტარს შეადგენს. ეს ციფრიც არ იქნება მთლად ზუსტი, რადგან, უკვე რამდენი წელია, არ მომხდარა მიწების აღწერა, პასპორტიზაცია, სოციალისტური საკოლმეურნეო მიწათმფლობელობის პირობებში სახნავ-სათესი ფართობების ერთი ნაწილი ამორტიზებულია, გამოფიტულია, მიგდებულია... თუ მიწის ყოველ გოჯს გამოვიყენებთ, სახნავ-სათესის ფართობი შეიძლება მილიონ ჰექტარამდე გაიზარდოს, თუმცა, არც ეს არის დიდად მანუგეშებელი ციფრი.

— ძალიან ცუდად რომ ვიცხოვროთ, — ამბობს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის მინისტრის მოადგილე ბატონი ბონდო ჯიქია, — წელიწადში სამი მილიონი ტონა მარცვლეული უნდა ვაწარმოოთ, მაშინ ერთ კაცზე 500 (მეცხოველეობაც ხომ გვჭირდება), კილოგრამი მოვა, ცხოვრების ნორმალურ დონეზე კი ერთი ტონაა მიღებული.

ცნობილია, რომ საქართველოს წელიწადში მილიონ ორასი ათასი ტონა პურის ფქვილი სჭირდება. „ძველ კეთილ დროებში" სულზე 180-183 კილოგრამს მოვიხმარდით. ეს თითქოს ნორმაც არის, მაგრამ ჩვენ პურსა და პურპროდუქტებს ტრადიციულად მეტს რომ ვჭამთ?

ჭირნახულობით კი, საქართველოში რაღაც 600 ათას ტონა მარცვლეულს აწარმოებენ.

მარტივი გამოთვლების შემდეგ, ადვილად დავრწმუნდებით, რომ 40-50 ცენტნერი საშუალო მოსავლიანობის პირობებში, საქართველოს დაახლოებით 400-450 ათასი ჰექტარი ხორბლის ნათესი დასჭირდება. ეს კი თითქმის გამორიცხულია. როგორც აღვნიშნეთ, სახნავ-სათესი ფართობი სულ 790 ათასი ჰექტარია. რაღა ქნან სხვა კულტურებმა? მერეც, 40-50 ცენტნერი მოსავლის მიღება ყველა რეგიონში როდია შესაძლებელი.

დააკვირდით ამ ფაქტებს: 1986 წელს ხორბალი დათესილი იყო 90 ათას ჰექტარზე, მოვიწიეთ 218 ათასი ტონა, საშუალოდ, ჰექტარზე — 25,3 ცენტნერი, 1990 წელს 91 ათას ჰექტარზე მოვიდა 273,5 ათასი ტონა, საშუალოდ ჰექტარზე — 30,1 ცენტნერი. წლეულს, წინასწარი მონაცემებით, 105 ათასი ჰექტარიდან სულ 200 ათასი ტონა ხორბალს მიიღებენ, საშუალოდ ჰექტარზე — 19 ცენტნერს.

საქართველოს ბეღლად დედოფლისწყარო ითვლება. მას მოჰყვებიან სიღნაღის, საგარეჯოს, გარდაბნისა და მარნეულის რაიონები. 1990 წელს დედოფლისწყაროს რაიონში 92 ათასი ტონა მარცვალი მოიწიეს, 1989-ში რაღაც — 13,4 ათასი ტონა. — საშინელი გვალვები იყო, მთელი შრომა დაიწვა, — ამბობს ბატონი ზურაბი, — საერთოდ, საქართველოში მარცვლეული სარისკო მიწათმოქმედების ზონაში ითესება. ნათესები ძირითადად ურწყავია. თუ კარგი ამინდი იქნა, იქნება მოსავალიც, თუ არა და, ყველაფერი დაიწვება. — რომ მოვრწყოთ? — ურწყავი მიწა უფრო მეტ ნაყოფიერებას ინარჩუნებს, ნათესები ირწყვება გარდაბანში, მარნეულში, სხვაგან კი, მოსავალი ამინდზეა დამოკიდებული.

ბატონმა ზურაბმა ისიც თქვა, რომ პრივატიზაციამ ავნო მარცვლეულის საქმეს. მოიშალა მეურნეობები, გლეხობა არ მარაგდება სასუქებით, შხამქიმიკატებით, საწვავით, ტექნიკით, ლანჩხუთის რაიონში მეთესლეობის მეურნეობაც კი მოუშლიათ. — როგორც სამშობიაროს მოშლა არ შეიძლება, ისე არ შეიძლება მეთესლეობის მოშლაც. ერთი და იმავე ყანიდან თუ ატრიალებ თესლს, ის კარგავს თავის ნიშანთვისებებს, — ბრძანა მან.

საერთოდ, მარცვლეული კულტურები საქართველოში დღესდღეობით 280 ათას ჰექტარზე ითესება.

სოფლები ვიცი, სადაც, იმის გამო, რომ დედებს სრულფასოვანი კვება არა აქვთ, ბავშვები ჭირიან გოჭებს გვანან. რატომ არის ჯანმრთელი გერმანელი ერი? — ეს კვებაზე და ცხოვრების წესზეა დამოკიდებული. აბა, ნახეთ, როგორ იკვებებიან ისინი. ჩვენ დღეს შეიძლება ორი კილოგრამი ხაშლამა შევჭამოთ, ხვალ კი? — ძნელია არ დაეთანხმო ბონდო ჯიქიას ამ შენიშვნას. ქართველი ერის ჯანმრთელობა და ღონე ხვალ ძლიერ იქნება დამოკიდებული სრულფასოვან კვებაზე. დასავლეთის ჰუმანური დახმარების იმედად მყოფი ხალხი ვერც დამოუკიდებლად იცხოვრებს, ვერც ომს მოიგებს და ვერც ახალ სვეტიცხოველს ააშენებს. მშიერი კაცის რწმენა სანდო არ არის.

მსოფლიო ბანკის ცნობით, აფრიკაში დღეს 120 მილიონზე მეტი ადამიანი შიმშილობს. ამ მხრივ, პირველ ადგილზეა ეთიოპია, სადაც 14,7 მილიონს ანუ მოსახლეობის 35 პროცენტს არ ჰყოფნის სურსათი. ეთიოპიას არც ნიგერია ჩამორჩება. აქ 13,7 მილიონ ადამიანს შიმშილით სიკვდილი ელის, ხოლო ჩადი, მოზამბიკა, სომალი და უგანდა, შედიან იმ ქვეყნების რიგში, სადაც მოსახლეობის 40 პროცენტი დაავადებულია ქრონიკული შიმშილობით.

შიმშილით სიკვდილის აჩრდილი თბილისშიც დადის, ასეთი სიკვდილი კი, მეტად მძიმე ყოფილა.

ტონა ხორბლის ფასი მსოფლიო ბაზარზე 110-130 დოლარია და, ალბათ, ყოველწლიურად მოიმატებს. ამერიკის შეერთებულ შტატებში ერთდოლარიან პურის ფასში, ხორბლის ფასი ხუთიდან ხუთი ცენტია. თუ ხორბლის ფასი გაორმაგდება, ასეთი პური რაღაც ერთი დოლარი და ხუთი ცენტი ეღირება. განვითარებულ ქვეყნებში, რომლებიც ხორბალს ბაზარზე ყიდულობენ და სახლში ინახავენ, ფასების გაორმაგება სამომხმარებლო ფასების გაორმაგებასაც იწვევს. მიმომხილველების აზრით, იმ ქვეყნებისათვის, რომლებსაც აქვთ საგარეო ვალები, სურსათის დეფიციტი და მცირე შემოსავალი, ხორბალზე, ბრინჯსა და სიმინდზე ფასების მომატება, მოხმარების შემცირებასა და შიმშილის გაძლიერებას ნიშნავს. არ გეცნობათ? — ჩვენთვის ნაცნობი სიტუაცია!

ხორბალი! იმედი ვიქონიოთ, ამ საქმეში მაინც არ მიბაძავს სუბტროპიკული მზიური საქართველო აფრიკის ბანანის რესპუბლიკებს.

ერთხელ, ძველი ხელისუფლების ერთმა წარმომადგენელმა განაცხადა, ციტრუსებსა და ჩაის გავცვლით ხორბალზეო, ახლაც ასე აცხადებენ, მაგრამ რამდენ რამეზე უნდა გავცვალოთ ჩვენი „საწყალი მანდარინი?"

სამრეწველო-კომერციული ფირმა
«მემაირგი»
ორგანიზაციებს და კერძო პირებს სთავაზობს კვალიფიციურ თარჯიმნებს, რომლებიც მათ დახმარებას გაუწევენ უცხოელ პარტნიორებთან მოლაპარაკების შემთხვევაში.
ანაზღაურება მხოლოდ მყარი ვალუტით.
☎ 36 15 00
39 84 43
39 36 04

ფირმა
«ნეიტრინო»
გთავაზობთ:
— აგურის მინი ქარხანას 3000 ც/სთ წარმადობით. ფასი 4 მლნ მან. გადარიცხვით.
— სხვადასხვა პროფილის არმატურას. ფასი შეთანხმებით.
— ქსეროქსი RICOH M100 A3 ფორმატი. ფასი შეთანხმებით.
— ფუტკრის შხამს გადარიცხვით. ფასი 6000 მანეთი-გრამი.
მისამართი:
რუსთავი. მეგობრობის ქ. 47ა.
☎ 12-94-99
12-95-99
12-19-01
12-26-11

ვიყიდი
კერძო, ოროთახიან ბინას ეზოთი, თბილისიდან არა უმეტეს 50 კმ. დაშორებულ სოფელში.
დარეკეთ ტელ.: 68-01-24 (იკითხეთ ეკა).

მთავარი რედაქტორი გურამ გოგიაშვილი.
მისამართი, 380096, თბილისი, ვ. კოსტავას ქ. № 14.
ტელეფონები: მთავარი რედაქტორის მისაღები 93-92-26; წერილების რედაქცია 99-78-24.
ავტორებს ვთხოვთ, მანქანაზე ნაბეჭდ 7 გვერდზე მეტი მოცულობის წერილებს ნუ შემოგვთავაზებენ.
გაზეთის ეგზემპლარებში პოლიგრაფიული წუნის შემჩნევისას მიმართეთ გამომცემლობა „სამშობლოს" საგაზეთო კორპუსს, თბილისი, ხოშარაულის 29.
გაზეთი რეგისტრირებულია საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროში. რეგისტრაციის ნომერია 0488.

ინდექსი 66434